პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 220 (18462) პარასკევი, 24 სექტემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

შაბათობა გვიხმობს

სოხუმი. (საქ. კორ. ი. გობეჩია). ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი მოსკოველთა თაოსნობას — მაღალნაყოფიერი შრომით აღნიშნონ ლენინური შაბათობა. აქ ყოველი დღე დიდი შრომითი აღმავლობით აღინიშნება. წარმოებული პროდუქცია იგზავნება როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების მსხვილ საწარმოებში. ქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა სტანდარტებით გათვალისწინებული ნორმების დაცვას, ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. წლეულს რვა თვეში პროდუქციის გამოშვების გეგმა 101,3 პროცენტით შესრულდა, რეალიზაციისა — 101,8 პროცენტით.

„სოხუმხელსაწყოს" კოლექტივმა თავი გამოიჩინა წარმოების მართვის ახალი სისტემის ეფექტიანად დანერგვის საქმეშიც. ამჟამად ბრიგადებს შორის ფართოდ არის გაშლილი საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება. შედეგებმაც არ დააყოვნა — პირველი ხარისხის პროდუქციამ 98 პროცენტს მიაღწია. გამომუშავებული საშუალო ხელფასი 14 პროცენტით მეტია.

ქარხნის კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა 18 დეკემბერს შაბათობაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს და მაღალნაყოფიერად იშრომოს.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავი შრომითი ვახტის დღეებში თბილისის № 3 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მშრომელებმა დედაქალაქის ახალმშენებლობებზე გეგმის გადაჭარბებით მიიტანეს 110 ათასი ტონა ტვირთი, ამასთან დაზოგეს 35 ტონაზე მეტი ბენზინი და დიზელის საწვავი. ეს 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე ამ ღირსსახსოვარი თარიღის აღსანიშნავად ... ვალდებულებით იყო გათვალისწინებული...

მოსკოვის საწარმოთა მოწინავე კოლექტივების მოწოდებას — მოაწყონ 18 დეკემბერს საბჭოთა სახელმწიფოს იუბილესადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა, აქ პირველმა დაუჭირა მხარი წარმოების ვეტერანმა, უმაღლესი კლასის მძღოლმა დ. ჯავახიშვილმა.

ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა 18 დეკემბერს გადაზიდოს 12.500 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, შეაკეთოს 3 მანქანა, 1 ამწე.

შაბათობაზე გამომუშავებულ ფულს მთლიანად გადარიცხავენ მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში.

დავიჭიროთ ზამთრის თადარიგი

შემოდგომა ძალაში შედის და ზამთრის მოახლოებას გვაგრძნობინებს. თადარიგიანი მეურნე მის შესახვედრად ამთავითვე შეუდგება სამზადისს, რადგან ამას ცხოვრების გამოცდილება უკარნახებს. ზამთარი ხომ მკაცრ პირობებს სთავაზობს ადამიანს. ყინვები და დიდთოვლობა არღვევს ცხოვრების რიტმს, დიდ სიძნელეებს და პრობლემებს უჩენს მას, მოუმზადებელს გასაჭირში ჩააგდებს ხოლმე. მხოლოდ თადარიგიან მეურნეს შეუძლია გაუმკლავდეს ზამთრის გამოცდას.

ეს ანბანური ჭეშმარიტება ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ზოგჯერ იქმნება გარემოება და ამ ჭეშმარიტების შეხსენება აუცილებელი ხდება. ვთქვათ, რესპუბლიკური თუ საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთმა საწარმომ, მისმა ხელმძღვანელებმა დაუდევრობა გამოიჩინეს, დროულად არ მოიმარაგეს საწვავი იმის გამო, რომ ვერ შექმნეს სამისო პირობები — არა აქვთ საწვავის შესანახი მოწყობილობა, გაზისა და ელექტროენერგიის აღმრიცხველები, თბოტექნიკური რუკები. ყველამ კარგად ვიცით, რასაც ნიშნავს ზამთრისთვის საჭირო სათბობის მარაგის დაგროვება, მაგრამ ამ საქმეს შარშან ყურადღება არ მიაქციეს და ნაკლოვანებანი ჰქონდათ გორის პურკომბინატს, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკას, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებას და სხვა.

წინა წლების მწარე გამოცდილება გვავალებს მეტი გულისყურით მოვეკიდოთ საცხოვრებელი სახლების, სამრეწველო, სატრანსპორტო საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, სახალხო მეურნეობის ყველა ობიექტის საწვავით, სათბობით, გაზით, ელექტროენერგიით მომარაგებას, რომ ხელი შევუწყოთ სახალხო მეურნეობის შეუფერხებელ მართვას, მისი ყოველი უბნისა და რგოლის გამართულ მუშაობას, სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობის, თითოეული მოქალაქის ნორმალურ ცხოვრებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ყოველთვის შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ ზამთრის ორგანიზებულ შეხვედრას...

60 საიუბილეო ვახტზე:

ახალ-ახალი წარმატებებით შევეგებოთ საბჭოთა კავშირის შექმნის 60 და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 65 წლისთავს

საქმემ გამოარჩინა



ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ელექტრომანქანების საამქროს მექანიკური დამუშავების უბანზე 1970 წლიდან მუშაობს ხარატი თენგიზ აფულავა, რომელმაც ენერგიული შრომით კოლეგების დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ნაყოფიერ შრომასთან ერთად თენგიზი ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე სწავლობს, არის უბნის პარტჯგუფორგი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

თ. აფულავას შრომით კალენდარზე ახლა 1984 წელია. საიუბილეოდ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიმდინარე წლის პირადი გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით 700 მანეთის დეტალები დაამზადოს.

სურათზე: ხარატი თ. აფულავა.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

ლანჩხუთელ მეჩაიეთა გამარჯვება

წლევანდელმა უამინდობამ — სიცივემ, კოკისპირულმა წვიმამ, ქარაშოტმა ერთბაშად დააკნინა და გააუხეშა ჩაის ფოთოლი. ბუნების ჭირვეულობას მედგრად შეებრძოლნენ ლანჩხუთელი მეჩაიეები.

ასე სათუთი მოვლითა და მოუღლელი შრომით მიაღწიეს გამარჯვებას მეჩაიეებმა, რომლებმაც გუშინ, 23 სექტემბერს გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის დამზადების წლიური გეგმა, საგეგმო 24.600 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩააბარეს 25.340 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

ახლა საიუბილეო წლის ვალდებულების შესრულებისათვის თავდადებით შრომობენ მეჩაიეები.

ეს გვაცნობეს საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. კუნჭულიამ, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. ცინცაძემ და სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარემ ა. დარჩიამ.

შრომის სწრაფი ტემპი

ცხინვალი. („კომუნისტის" საკ. კორ.). სსრ კავშირის შექმნის 60 და დიდი ოქტომბრის რევოლუციის 65 წლისთავს შრომითი ნობათებით ეგებებიან ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მშრომელები. რაც უფრო ახლოვდება საიუბილეო თარიღი, აქ მით უფრო ძლიერდება შრომის ტემპი. მკერავები სასახელოდ გაისარჯნენ, განვლილ რვა თვეში გამოუშვეს 10.657 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, ეს საგეგმოს 242 ათასი მანეთით აღემატება. გამოშვებული პროდუქცია მთლიანად რეალიზებულია, გეგმა კი 10.530 ათასი მანეთის ნაწარმის გაყიდვას ითვალისწინებდა. გადაჭარბებით შესრულდა მოგების დავალებაც.

8 თვის მაჩვენებლების მიხედვით დაწინაურდა № 2 სამკერვალო საამქროს კოლექტივი (უფროსი—ე. ძაგოევა).

საიუბილეოდ ნაკისრ ვალდებულებებს, — როგორც ვარაუდობენ, — ფაბრიკის კოლექტივი ვადაზე ორი კვირით ადრე შეასრულებს.

რთველი-82

დავაჩქაროთ ყურძნის კრეფა

რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „სამტრესტის" 28 სექტემბრის ცნობა (ტონობით)

	მოკრეფილია	შაქრიანობის პროცენტი
გურჯაანის	34.826	19,7
სიღნაღის	25.355	18
ყვარლის	17.675	18,2
წითელწყაროს	15.258	18
მარნეულის	5.089	16,6
თელავის	4.188	18,2
ლაგოდეხის	2.262	18,2
საგარეჯოს	1.878	18,8
ბოლნისის	167	16,9
თეირჯოლის	147	16,7
სულ საქართველოში	106.240	18,8

კახეთის რაიონებში რთველი კარგა ხანია დაიწყო, ამინდიც ურიგო არ არის. ამ რეგიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მკვეთრად უნდა დააჩქარონ ყურძნის კრეფის ტემპი, მტკიცედ უნდა იბრძოლონ დანაკარგების აღკვეთისათვის.

ეს დღეები სოფლად

სსრ კავშირის შექმნის 60 წლის იუბილეს მაღალი შრომითი მაჩვენებლებით ხვდებიან ახალქალაქის რაიონის მშრომელები. ამჯერად თავი ისახელეს მეცხოველეებმა. სახელოვანმა ფერმის მუშაკებმა ჯერ კიდევ 10 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის საიუბილეო წლის 9 თვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 14.140 ტონა რძე, რაც შარშანდელ დონეს 930 ტონით აღემატება.

... საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. შულაროვმა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. გოგორიანმა.

საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივმა კვერცხისა და ხორცის წარმოებისა და ...

... ნაცვლად საგეგმო 28 მილიონ 241 ათასი ცალისა აწარმოვა 28 მილიონ 450 ათასი ცალი კვერცხი. სახელმწიფოს მიეყიდა 26 მილიონ 837 ათასი ცალი კვერცხი, რაც დაახლოებით 2 მილიონი ცალით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. 4150 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 4.400 ცენტნერი ფრინველის ...

... ლია 900 ათასი ცალით მეტი კვერცხი და 520 ცენტნერით მეტი ფრინველის ხორცი. ისიც აღსანიშნავია, რომ ფაბრიკის კოლექტივმა იანვარ-სექტემბრის ყველა სხვა გეგმაც გადაჭარბებით შეასრულა.

საიუბილეო შრომით ვახტზე მდგომმა საგარეჯოელმა მეფრინველეებმა გადაწყვიტეს პირველი ოქტომბრისათვის სახელმწიფოს ...

ჟურნალისტთა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს

პატივცემულო კონფერენციის მონაწილენო!

გულითადად მოგესალმებით საბჭოეთში.

ჟურნალისტებს თავიანთ მოწოდებად მიაჩნიათ მუდამ ტრიალებდნენ მოვლენების შუაგულში, აცნობდნენ მათ საზოგადოებას. მადლიანი პროფესიაა! ამასთან — კეთილშობილურიც, თუ პუბლიცისტის ოსტატობა, ნიჭი ემსახურება ჭეშმარიტების გავრცელებას, სიკეთისა და სოციალური სამართლიანობის დაცვას.

თქვენ, სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქენი, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილის წარმომადგენლები, ყირგიზეთის დედაქალაქში შეგკრებათ ...

... კიდეც პარლამენტების, მთავრობების, პოლიტიკური პარტიების კონკრეტული საქმეებით.

არაერთგზის მითქვამს, რომ არ არის ისეთი პრობლემა სახელმწიფოთა შორის, რომელთა მოწესრიგება არ შეიძლებოდეს მოლაპარაკების მაგიდასთან, თუ კი კეთილი ნება იქნება. მინდა დავუმატო — სახელმწიფოებს არა აქვთ ისეთი ინტერესები, რომლებიც გაამართლებდნენ ძალისა და აგრესიის პოლიტიკას. ასე ფიქრობს მთელი ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ხალხი.

თქვენზე, ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებზე, დიდად არის დამოკიდებული, თუ რამდენად მკაფიოდ და ზუსტად ესმის ფართო საზოგადოებრიობას, რა საშიშროება ელის კაცობრიობას. როგორ გამწვავდა ახლა ბრძოლა ომისა და მშვიდობის ძალებს შორის.

ნება მიბოძეთ გისურვოთ, აზრთა ნაყოფიერი გაზიარება კონფერენციაზე, ჟურნალისტთა ურთიერთგაგების და საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცება.

ლ. ბრეჟნევი.

მის აღმატებულებას ბატონ ამინ ჟმაიელს

გილოცავთ ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას.

ლიბანისათვის ამ ძნელ დროს ლიბანელ ხალხს წარმატებას ვუსურვებ ქვეყნიდან ისრაელი აგრესორის ჯარების დაუყოვნებელი გაყვანისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის უჭერდა და ახლაც უჭერს მხარს ლიბანის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ერთიანობის განმტკიცებას.

ლ. ბრეჟნევი.

საუბარი კრემლში

21 სექტემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი შეხვდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ი. განდის.

მეგობრული საუბრის დროს განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები. განსაკუთ...

... ახებ 1980 წლის 10 დეკემბრის შეთანხმების შესრულებასთან. განიხილეს აგრეთვე მეტალურგიისა და ენერგეტიკის, მათ შორის ატომური ენერგეტიკის დარგის ახალი ობიექტების მშენებლობაში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის პერსპექტივები.

ნ. ა. ტიხონოვმა და ი. განდიმ ...

ვიზიტი გრძელდება

... მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებლად.

22 სექტემბერს ათასობით მოსკოველი მოვიდა მოედანზე, რომელიც ვერნადსკისა და ლომონოსოვის პროსპექტების გადაკვეთაზე მდებარეობს. აქ ი. განდის თანდასწრებით გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელიც მიეძღვნა ამ მოედნისათვის ჯავაჰარლალ ნერუს სახელის მინიჭებას.

დამსწრეთ თვალწინ წარმოუდგათ წითელი გრანიტის სამახსოვრო დაფა, რომელსაც აწერია: „ჯავაჰარლალ ნერუს მოედანი.

... საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის პარლამენტების კონტაქტის განვითარებაზე. აღინიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და ინდოეთის რესპუბლიკის პარლამენტის ნაყოფიერი თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში.

შეხვედრის საბჭოთა მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ...

... რულ ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

აეროდრომზე ი. განდი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა, სკკპ ცენტრალური კო- ...

... გამგზავრების წინ ი. განდი ეწვია ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტების მზადების ცენტრს. მან ყვავილებით შეამკო კოსმოსის პირველმკვლევის ძეგლი.

ი. განდის გულთბილად მიესალმნენ კოსმონავტები, რომელთა შორის იყვნენ ცენტრში მოსამზადებლად ჩამოსული ინდოეთის წარმოგზავნილები რ. მალჰოტრა და რ. შარმა

იმავე დღეს ინდირა განდი ჩაიდა ესტონეთის დედაქალაქში. (საკდესი).

ინდირა განდი მოსკოვიდან ტალინს გაემგზავრა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ თბილისის № 660 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" სსრ კავშირის კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ თბილისის № 660 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნები დაინიშნოს კვირას 1982 წლის 24 ოქტომბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 22 სექტემბერი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1982 წლის 21 სექტემბერს, 84 წლისა მძიმე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავარი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი ივანე ქრისტეფორეს ძე ბაგრამიანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დაე, მტკიცდებოდეს მეგობრობა

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის სიმტკიცე არაერთხელ შემოწმებულა საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების რთულ პერიოდებში. მან ღირსეულად გაუძლო ყველა განსაცდელს და ნიადაგ ადასტურებს თავის წარუვალ მნიშვნელობას ქვეყნად მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, ემსახურება ორი ქვეყნის ხალხების ძირეულ ინტერესებს. ეს აღინიშნა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ი. განდისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრაზე, რომელიც 21 სექტემბერს გაიმართა მოსკოვში.

შეხვედრაზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი. საბჭოთა ადამიანები, თქვა მან, დიდ ინდოელ ხალხს სიმპათიისა და ღრმა პატივისცემის გრძნობებით ეკიდებიან. ი. განდის სახელი ყველა ჩვენგანში უცვლელად იწვევს იმ ტრადიციული მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის განმტკიცების პროცესის ასოციაციას, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებს აკავშირებს უკვე სამ-ნახევარ ათწლეულზე მეტი ხანია. ლ. ი. ბრეჟნევმა ხატოვნად უწოდა უდიდესი, ფასდაუდებელი კაპიტალი ჩვენს სახელმწიფოებსა და მათ ხელმძღვანელებს შორის არსებულ დიდ ნდობას.

ახლანდელი საერთაშორისო ვითარების პირობებში, როცა ჰორიზონტზე ცა თერმობირთვული საფრთხის ღრუბლებით იქუფრება, საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს გადაჭარბებით შეაფასო მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ახალი ომის თავიდან აცილებისათვის, განიარაღებისა და დაძაბულობის შენელებისათვის, ფართო სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისათვის ბრძოლაში სსრ კავშირისა და ინდოეთის ერთობლივი მეცადინეობის დიდი მნიშვნელობა, — თქვა ორატორმა. თანამედროვეობის ყველაზე დიდ პრობლემებზე ორი სახელმწიფოს პოზიციები ემთხვევა ან ძალიან უახლოვდება ერთმანეთს. სსრ კავშირი და ინდოეთი ერთნაირად ისწრაფვიან სამუდამოდ გამორიცხონ ბირთვული კატასტროფის საფრთხე კაცობრიობის ცხოვრებაში.

საბჭოთა ხალხი ემზადება ღირსეულად შეხვდეს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს, თქვა შემდეგ ი. ვ. არხიპოვმა. ჩვენ გულწრფელად გვჯერა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობისას ი. განდი თვალნათლივ გაეცნობა შესანიშნავ საქმეებსა და მიღწევებს, რომლებითაც საბჭოთა ადამიანები ეგებებიან ამ ისტორიულ თარიღს.

საბჭოთა ადამიანები ხარობენ წარმატებებით, რომლებსაც ინდოელმა ხალხმა მიაღწია სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელების გზაზე, უსურვებენ მას ახალ მიღწევებს. ინდოეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, მის წინაშე მდგომი რთული ამოცანების გადაწყვეტაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა, რომელიც ვითარდება ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე, თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე. საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ ჩვენს ქვეყანაში ი. განდის ვიზიტისა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის მდიდარ მატიანეში ახალი დიდმნიშვნელოვანი ფურცლები ჩაიწერება, თქვა ორატორმა.

დამსწრეებს გულთბილად შეხვდნენ ი. განდის, რომელმაც თქვა:

გულითადი სალამი დამაბარა თქვენთან ინდოელმა ხალხმა, რომელიც თქვენი დიადი ქვეყნის მიმართ მეგობრული გრძნობებით არის განმსჭვალული.

საბჭოთა კავშირი გვეხმარებოდა თანამედროვე ინდუსტრიალიზაციის გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმისას. ჩვენ გამოვიყენეთ თქვენი გეგმიანი მეურნეობის გამოცდილება.

მივესალმებით საბჭოთა კავშირთან ეკონომიკურ და ტექნიკურ თანამშრომლობას, რომელმაც უკვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენს სამრეწველო განვითარებაში. განსაკუთრებით მრავლისაღმთქმელი შესაძლებლობანი ისახება ისეთ დარგებში, როგორიც არის ენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობის ძიება. მინდა მადლობა გადავუხადო ორივე მხარის თანამდებობის პირებს იმ მეცადინეობისათვის, რომ უზრუნველყოთ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი ეკონომიკური კომისიის მეშვიდე სესიის წარმატება, რომელმაც ჩინებულად მიამზადა ჩემი ვიზიტის ეკონომიკური ასპექტი.

ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე. შთამბეჭდავია ის, რაც მიღწეულია წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით. მაგრამ გამოცდილების გაზიარების პერსპექტივები უფრო ფართო გამოდგა, ვიდრე გვეგონა. მაგალითად, საინტერესო ანალოგებია ჩვენს ქვეყნებს შორის. ისინი დაყოფილია მრავალ რაიონად და დასახლებულია სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებით, რომლებიც სძლევენ განსხვავებას სოციალურ სისტემებსა და პოლიტიკურ სტრუქტურებში.

ჩვენი საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველია მშვიდობიანი განვითარებისადმი სწრაფვა, ისევე როგორც ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცება, თქვა ორატორმა. სულ რამდენიმე წლის წინ გასტანა შედარებითი სიმშვიდის ხანმოკლე პერიოდმა, როცა დიდ სახელმწიფოთა შორის სტრატეგიულ საქმეებში დაძაბულობის შენელებამ თითქოს გზა გაუხსნა ნამდვილი ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის ეპოქას. განსაკუთრებით დამაიმედებელი იყო ევროპაში მომხდარი ამბები. დღეს, პირიქით, საერთაშორისო ვითარება მეტად სავალალო და ავისმომასწავებელია. შეიარაღების ხარჯები ნიადაგ იზრდება.

კიდევ უფრო შემაშფოთებელია ახალი ტენდენცია, რომელსაც საშიში არაპირდაპირი შედეგები მოჰყვება შედარებით სუსტი ქვეყნებისათვის. როგორც დასავლეთ აზიაში მომხდარმა ამასწინანდელმა ამბებმა ცხადყო, ერთ სახელმწიფოს, რომელიც უარს ამბობს დაემორჩილოს საერთაშორისო ქცევის ნორმებს, შეუძლია დაუსჯელად არაერთგზის დაარღვიოს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა. აბსოლუტური დაუსჯელობა, რითაც სარგებლობდა ისრაელი მთელი ამ წლების მანძილზე, როგორც ჩანს, საერთაშორისო ცხოვრების აღიარებული ფაქტი გახდა. საერთაშორისო სამართლის ნორმები ასევე უგულებელყო უკანასკნელ წლებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, თავს რომ დაესხა ანგოლასა და მოზამბიკს. ეს აბედითი მოვლენებია.

მივესალმებით საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს იმის კვალობაზე, თუ როგორ იზრდება გაგება საფრთხისა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ბირთვული ომი მთელი კაცობრიობისათვის, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სულ უფრო მეტი ადამიანი, კლასობრივი კუთვნილებისა და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, უჭერს მხარს მშვიდობას.

ურყევია მიუმხრობლობის მოძრაობისადმი ჩვენი ერთგულება; ჩვენ ვისწრაფვით განვამტკიცოთ მისი შეკავშირება და თავდაპირველად გამოცხადებული მიზნების ერთგულება. ინდოეთმა, კერძოდ, ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ შენელებოდა დაძაბულობა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აზიასა და ინდოეთის ოკეანის რაიონში. ჩვენ წამოვაყენეთ აგრეთვე მთელი რიგი ინიციატივები, რომლებმაც უნდა გააუმჯობესოს ურთიერთობა ჩვენს მეზობლებთან.

შემდეგ ი. განდიმ აღნიშნა, რომ ინდოეთისა და რუსეთის ერთმანეთისადმი ინტერესი ახალი როდია. მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენმა განვითარებადმა კონტაქტებმა განამტკიცა ეს ტენდენცია.

ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება ყველა ასპექტით.

ი. განდისთან საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრა გადაიქცა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხების მეგობრობის მკაფიო მანიფესტაციად. (საკდესი).

შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

22 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი კალმან აბრაჰამი.

ამხ. ჩერქეზიამ აღნიშნა, თუ რა წარმატებით ვითარდება უნგრეთისა და საქართველოს საქმიანი კონტაქტები, რომელთა სფერო დღენიადაგ იზრდება. მან გამოთქვა რწმენა, რომ თანამშრომლობას მშენებლობის, ისევე როგორც სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დარგში, ურთიერთხელსაყრელი ხასიათი ექნება.

კ. აბრაჰამმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსა და უნგრეთს შორის უშუალო ეკონომიკური კავშირურთიერთობის დამყარების თვით ფაქტი მოწმობს, რომ ღრმავდება და ფართოვდება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის თანამშრომლობა. „საქართველოს დედაქალაქის გაცნობა, — თქვა კ. აბრაჰამმა, — გვარწმუნებს, რომ ჩვენ წინაშე დგას ერთი და იგივე საკითხები ქალაქთმშენებლობის დარგში. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი თანამშრომლობა სარგებლობას მოიტანს".

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. ქადიშელი.

შეხვედრას დაესწრნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პირველი მდივანი იოჟეფ ბარდი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ვ. ტ. გოგოლაძე, რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე გ. ზ. მირიანაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ი. პავშენცევი, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" სამმართველოს უფროსი გ. გ. გამყრელიძე.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშენებლობისა და ქალაქების განვითარების მინისტრი კ. აბრაჰამი გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს და ქალაქის რესტავრირებულ რაიონებს, დაათვალიერა რუსთავის მშენებარე ობიექტები, იყო მცხეთაში. თბილისის ზონალური ექსპერიმენტული დაპროექტების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში იგი შეხვდა რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროებისა და უწყებების, საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, დაათვალიერა ქართველ არქიტექტორთა პროექტების გამოფენა.

საქართველოში ყოფნის დროს კ. აბრაჰამი ეწვევა აგრეთვე ქუთაისსა და აფხაზეთს. (საქინფორმი).

პროპაგანდისტის დასახმარებლად

ახალი სასწავლო წელი პარტიული და კომკავშირული სწავლების, მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემაში იწყება მეცადინეობით თემაზე: **„თავისუფალ რესპუბლიკათა ურღვევი კავშირი".**

საჭირო იქნება მსმენელთა ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ სსრ კავშირის შექმნისა და წარმატებული განვითარების ყველა ეტაპზე ბოლშევიკთა პარტია იღვწოდა ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების უთანასწორობის დაძლევისათვის, მათი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელებისათვის. პროპაგანდისტმა დამაჯერებლად უნდა წარმოაჩინოს ვ. ი. ლენინის განმსაზღვრელი როლი ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში, ცხადყოს ხალხთა გამაერთიანებელი მოძრაობის ნამდვილი ინტერნაციონალური ხასიათი.

მეცადინეობაზე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახულ ღონისძიებათა მნიშვნელობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ენიჭება სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო ბრძოლას.

დღეს, როცა, ორ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემას შორის კიდევ უფრო გამძაფრდა ბრძოლა, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს იმპერიალიზმის აგრესიული, ანტიხალხური პოლიტიკის მხილებას, ანტისაბჭოურობისა და ანტიკომუნიზმის დასაბუთებულ კრიტიკას, ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამისა და სამშვიდობო ინიციატივების ფართო პროპაგანდას.

თავისუფალ რესპუბლიკათა ურღვევი კავშირი

მიმდინარე წლის დეკემბერში საბჭოთა ხალხი, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის 60 წლისთავს. სსრ კავშირის შექმნა და წარმატებული განვითარება იყო დიდი ოქტომბრის საქმის გაგრძობა, ვ. ი. ლენინის იდეების ცოცხალი განსახიერება, ბოლშევიკთა ბრძნული ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება.

მარქსიზმ-ლენინიზმმა მეცნიერულად დაასაბუთა და საბჭოეთის ქვეყნის გამოცდილებამ პრაქტიკულად დაადასტურა, რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ქმნის ყველა პირობას ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის, სხვადასხვა ერისა და ეროვნების ხალხთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობისა და ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ მათი ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის.

„ჩვენ გვსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობითს თანხმობაზე". სწორედ თანასწორუფლებიანი სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების ასეთი ნებაყოფლობითი კავშირი შეიქმნა საბჭოების სრულიად საკავშირო პირველ ყრილობაზე 1922 წლის 30 დეკემბერს.

ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის სფს რესპუბლიკამ, მსოფლიოში პირველმა მრავალეროვანმა საბჭოთა სახელმწიფომ, რომელიც გახდა სსრ კავშირის პირველსახე, ხალხთა გამაერთიანებელი მოძრაობის დამრაზმავი და მაორგანიზებელი ძალა.

გასაოცარი სიზუსტით ახდა ვ. ი. ლენინის წინასწარხედვა: სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ერები თვითონ არ მოისურვებენ იზოლირებულად ცხოვრებას და მაშინვე დაირაზმებიან რუსი ხალხის ირგვლივ, და რაც უფრო დემოკრატიული იქნება რუსეთის რესპუბლიკა, მით უფრო „ძლიერი იქნება **ყველა ერის მშრომელი მასების ნებაყოფლობითი** მისწრაფება ასეთი რესპუბლიკისადმი".

ბოლშევიკთა პარტია ლენინის მეთაურობით ფართო მუშაობას ეწეოდა მშრომელთა შორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრინციპების ახსნა-განმარტებისათვის, სხვადასხვა ერისა და ეროვნების ხალხთა ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის. მაგრამ წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული დიდმპყრობელური შოვინიზმის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, ეროვნული შუღლისა და ურთიერთუნდობლობის გადმონაშთები, წინათ ჩაგრულ ხალხთა ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა დიდად აფერხებდნენ ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს ერთბაშად შექმნას. ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას დასჭირდა ლენინელთა პარტიის ხუთი წლის დაძაბული ორგანიზატორული და მოთმინებითი მუშაობა.

ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ დაასაბუთა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირის შექმნის აუცილებლობა სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, იმპერიალიზმის ხელყოფისაგან სამშობლოს დასაცავად. ამ კავშირის სიმტკიცის საწინდრად მას მიაჩნდა ერთა ურთიერთობაში სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთნდობის დამყარება, ეროვნული პრობლემების გადაჭრაში ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ თანამიმდევრული და შეურიგებელი [illegible]

[illegible] ქეული ხალხის ნებაყოფლობითი თანხმობით და არა რაიმე, პირდაპირი ან არაპირდაპირი, ძალადობის ხმარებით".

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ახალი სახელმწიფო წყობილება, როგორც სხვადასხვა ერის თავისუფალ რესპუბლიკათა ფედერაცია „გამონაგონი, პარტიული ხერხი კი არ არის, არამედ შედეგია თვით ცხოვრების განვითარებისა." 1919 წლის ივნისში იგი აღნიშნავდა, რომ „ახალი ცხოვრების მშენებლობის პროცესში მშრომელები ერთიანდებიან — ჯერ ერთ სოციალისტურ სახელმწიფოდ, შემდეგ კი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად".

1922 წლის 26 სექტემბრის წერილში ხალხთა ბელადი აცხადებდა, რომ „ჩვენ თანასწორუფლებიანად ვცნობთ თავს უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან და სხვებთან და მათთან ერთად და მათთან თანაბრად შევდივართ ახალ კავშირში, ახალ ფედერაციაში". ეს იყო ეროვნულ-სახელმწიფო მშენებლობის დარგში მარქსისტული თეორიის შემდგომი შემოქმედებითი განვითარება.

აქვე პროპაგანდისტმა უნდა განმარტოს ის მეთოდოლოგიური საკითხი, რომ ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის ინიციატივა ეკუთვნით დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს, მათს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს.

ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სსრ კავშირის შექმნის ლენინურ იდეას, რომელიც გადაიქცა შეუმარიტად საყოველთაო-სახალხო გამაერთიანებელ მოძრაობად. იგი დაიწყო და სულ უფრო ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა საბჭოთა ეროვნულ რესპუბლიკებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ წინადადება საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების თაობაზე ჯერ კიდევ 1922 წლის მარტში წამოაყენა უკრაინის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, ხოლო შემდეგ ეს საკითხი განიხილა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

„პრავდის" კორესპონდენტთან საუბარში ი. ბ. სტალინმა 1922 წლის 18 ნოემბერს აღნიშნა, რომ გამაერთიანებელი მოძრაობის ინიციატივა თვით დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებს ეკუთვნის და საკითხმა მათი გაერთიანების შესახებ არნახული ენთუზიაზმი გამოიწვია უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის და საქართველოს ფართო პარტიულ მასებში. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობის დღის წესრიგში სსრ კავშირის შექმნა მეექვსე საკითხად მიდიოდა და იგი სრულიად მართებულად ასე იყო ფორმულირებული: „სახელშეკრულებო საბჭოთა რესპუბლიკების წინადადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ".

ყველა ამ ფაქტის ფონზე რა უსაფუძვლოდ გამოიყურება ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მონაჭორი იმის შესახებ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება ერთ საკავშირო სახელმწიფოდ თითქოს წარმოადგენს მათთვის ზემოდან თავსმოხვეულ ფორმას, რომ ფედერაცია და ავტონომია [illegible]

ვნულ-სახელმწიფო მშენებლობის ამ გამოცდილებამ გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ფედერაციის შესახებ ახალი დებულებებით, რაც გამოყენებულ იქნა სსრ კავშირის შექმნის დროს.

1922 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა საბჭოების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელმაც ერთსულოვნად მიიღო დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ ყოველი მოკავშირე რესპუბლიკისათვის კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლების დატოვებით. ამ დოკუმენტების მიღებით კანონმდებლურად გაფორმდა საბჭოთა რესპუბლიკების ახალი სახელმწიფოებრივი კავშირი, სოციალისტური, უმაღლესი ტიპის ფედერაცია. თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობითი სახელმწიფო კავშირის ლენინური იდეები კანონმდებლურად იქნა განმტკიცებული სსრ კავშირის პირველ კონსტიტუციაში, რომელიც მიიღო საბჭოების სრულიად საკავშირო მეორე ყრილობამ 1924 წლის 31 იანვარს.

ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების წამყვანი ძალა გახდა მუშათა კლასი. მან შემოჰქონდა მშრომელთა მასებში კლასობრივი, ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ძმობის სულისკვეთება, წარმართავდა მათ ძალღონეს სოციალიზმის ასაშენებლად.

სოციალიზმის მშენებლობის წლებში სულ უფრო მეტად იქმნებოდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა სახელმწიფო მშენებლობის განგრძობისა და სრულყოფის ხელშემწყობი სოციალურ-ეკონომიკური პირობები. 1924 წელს შეიქმნა თურქმენეთისა და უზბეკეთის, 1929 წელს კი ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. 1936 წელს ყაზახეთისა და ყირგიზეთის ავტონომიური რესპუბლიკები გარდაიქმნენ მოკავშირე რესპუბლიკებად. იმავე წელს გაუქმდა ამიერკავკასიის სფსრ და სსრ კავშირის მეორე კონსტიტუციის საფუძველზე აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირში. 1940 წელს ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის მშრომელებმა აღადგინეს საბჭოთა ხელისუფლება და ხალხთა ნებასურვილის საფუძველზე გაერთიანდნენ სსრ კავშირში. იმავე წელს მოლდავეთის ასსრ გარდაიქმნა მოკავშირე რესპუბლიკად. დღეს საბჭოთა კავშირი, როგორც ფედერაციული სახელმწიფო, აერთიანებს 53 ეროვნულ-სახელმწიფო წარმონაქმნს — 15 მოკავშირე სს რესპუბლიკას, 20 ავტონომიურ სს რესპუბლიკას, 8 ავტონომიურ ოლქსა და 10 ავტონომიურ ოკრუგს.

ჩვენი ქვეყნის ხალხები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ სწორედ ერთიან კავშირად დარაზმვას შეეძლო განემტკიცებინა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, დაეჩქარებინა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, უმოკლეს ვადაში დაეძლია რევოლუციამდელი წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, განეხორციელებინა ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმა, გადაექცია ქვეყანა მძლავრ სახელმწიფოდ.

სოციალისტური სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების მშრომელები ერთსულოვნად დაირაზმნენ საკუთარი ქვეყნის დასაცავად დიდი სამამულო ომის წლებში. ისინი ერთობლივი ძალღონით აღადგენდნენ ომით დანგრეულ სახალხო მეურნეობას, ერთად წყვეტდნენ ომისშემდგომი ხუთწლედების ამოცანებს. ალმშენებლობითი საქმისათვის ბრძოლაში იშვა მშრომელი ადამიანების დიადი ძმობა, ერთიანი ოჯახის გრძნობა, ხალხთა ურღვევი ლენინური მეგობრობა.

ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობის საფუძველზე შეიქმნა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, რომლის წამყვანი ძალაა მუშათა კლასი. მსოფლიოში პირველად მხოლოდ საბჭოთა კავშირმა უზრუნველყო ყველა ერისა და ეროვნების არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტობრივი თანასწორობა, რაც ჩვენში დაკანონებულია კონსტიტუციურად. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, რომელიც შედუღაბებულია [illegible]

ეროვნულ შემოსავალს, რამდენიც შეიქმნა მთელი 1922 წლის განმავლობაში. მეცხრე ხუთწლედთან შედარებით მეათე ხუთწლედში იგი გადიდდა 24 პროცენტით. 1982 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1922 წელთან შედარებით გაიზრდება 537-ჯერ, ხოლო 1940 წელთან შედარებით — 23-ჯერ. სამრეწველო პროდუქციის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 1971-1980 წლებში შეადგინა 5,9 პროცენტი, მაშინ, როცა იაპონიაში იგი უდრიდა 4,5, იტალიაში — 3,5, კანადაში — 3,4, აშშ — 3,1, საფრანგეთში — 2,9 და ინგლისში — 1 პროცენტს. სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება 1982 წელს 1922 წელთან შედარებით გადიდდება 158-ჯერ, ხოლო 1940 წელთან შედარებით — 12-ჯერ.

წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მუშაობის ხარისხის ყველა მაჩვენებლის გაუმჯობესება და შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილების ერთადერთი გზაა.

„ისტორიამ არ იცის სახელმწიფო, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის შესახებ, — რომელსაც უმოკლეს დროში იმდენი რამ გაეკეთებინოს ერთა და ეროვნებათა ყოველმხრივი განვითარებისათვის, რამდენიც გააკეთა სსრ კავშირმა — ყველა ჩვენი ხალხის სოციალისტურმა სამშობლომ... ხალხთა მეგობრულ ოჯახში დინამიკურად ვითარდება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკა, თანამედროვე მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, კულტურის ნამდვილად აყვავება — აი, რა ახასიათებს დღეს თითოეულ მათგანს. ამავე დროს მათ აქვთ განუმეორებელი სახე, თავისებური ეროვნული ნიშნები".

სკკპ XXVI ყრილობის კურსი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ მეთერთმეტე ხუთწლედში და 1990 წლამდე პერიოდისათვის ითვალისწინებს თითოეული საბჭოთა რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის მატერიალური და სულიერი პოტენციალის შემდგომ ზრდას, პარტიის მიერ შემუშავებული ეკონომიკური სტრატეგიის თანამიმდევრულად განხორციელებას, რომლის უზენაესი მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ზრდა. პარტიის მიერ მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებულია პარტიის აგრარული პოლიტიკის არსი ოთხმოციანი წლებისათვის, განსაზღვრულია პრაქტიკული საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი.

მეცადინეობაზე დამაჯერებლად უნდა იქნეს ნაჩვენები, რომ ქართველმა ხალხმა ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად ღირსეული წვლილი შეიტანა ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნასა და განმტკიცებას, რომ საბჭოთა საქართველომ სწორედ სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში მიაღწია თავისი ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილ აყვავებას.

დღენიადაგ იზრდება რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის საერთო დოვლათში. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაორკეცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა. მეათე ხუთწლედის დავალებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ვადამდე შესრულდა. ბოლო ათწლეულში რესპუბლიკის ეკონომიკა თავისი განვითარების ტემპის მიხედვით წინ უსწრებდა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

სკკპ XXVI ყრილობამ აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა საქართველომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია. რესპუბლიკის წარმატებები განპირობებულია ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის სისტემატური დახმარებითა და ზრუნვით.

ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკაში იმისათვის, რომ ცხოვრების ყველა სფეროში დამკვიდრებულიყო პოზიტიური პროცესები, მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპები, რასაც სათავე დაუდო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებამ, რომლის ათი წლისთავი ფართოდ აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში.

მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგად საბჭოთა საქართველოს ყოველწლიურად ზედიზედ მეცხრედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლისში მიღებულ დადგენილებაში — „სსრ კავშირის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" — აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იუბილესათვის მოსამზადებლად პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელ მუშაობას წარმართავს მშრომელთა დასარაზმავად პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების, 1982 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის. პარტიული კომიტეტები ისწრაფვიან „დაამკვიდრონ დადებითი შედეგები, რომლებიც რესპუბლიკაშია მიღწეული პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, პარტიული ხელმძღვანელობისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომდევნო გადაწყვეტილებების რეალიზაციის პროცესში, ყურადღებას არ აკლებენ იმ მითითებებისა და რეკომენდაციების განხორციელებას, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რომ გამოთქვა 1981 წელს საქართველოში მოგზაურობის დროს".

საბჭოთა საქართველოს სახელოვანი ისტორია არის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის, სოციალისტური ცხოვრების წესის, საბჭოთა დემოკრატიის დიადი პრინციპების პრაქტიკულად განხორციელების მკაფიო მაგალითი.

დღეს საბჭოთა საქართველოში ჭეშმარიტად ინტერნაციონალური მუშაობის ატმოსფერო სუფევს. ქართველები და რუსები, აფხაზები და ოსები, სომხები და აზერბაიჯანელები, ბერძნები, ქურთები, ებრაელები და მრავალი სხვა ეროვნების მშრომელები ერთმანეთის მხარდამხარ იღვწიან რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ. ერთაშორისი ურთიერთობის განვითარებისა და ძმური მეგობრობის განმტკიცების გამოცდილება, რომელიც საქართველოს კომპარტიამ სამოცდაათიან წლებში შეიძინა, კიდევ ერთი დამაჯერებელი დასტურია იმისა, თუ რაოდენ სწორია სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკა.

საბჭოთა ერების ერთიანობა არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე, როგორც დღეს არის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნული ურთიერთობის სფეროს ყველა საკითხი თითქოს უკვე გადაწყვეტილი იყოს. „ჩვენნაირი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარების დინამიკა, — აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობამ, — ბევრ ისეთ პრობლემას შობს, რომლებიც პარტიის გულისხმიერ ყურადღებას მოითხოვს... პარტიის წმიდათაწმიდა ვალია აღზარდოს მშრომელები საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იმ ამაყი გრძნობის სულისკვეთებით, რომ [illegible] დი საბჭოთა სამშობლოს შვილები არიან". პარტია შეურიგებლად შეებრძოლება შოვინიზმისა და ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, არ დაუშვებს ეროვნულ თავისებურებათა უგულებელყოფას და არც მათს გაზვიადებას.

ლენინელთა პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების აყვავებისა და თანდათანობითი დაახლოების, მათი ძმური მეგობრობის განმტკიცების კურსს, რომელიც მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში ეროვნულ ურთიერთობათა განვითარების გენერალური მიმართულებაა. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ერების დაახლოება, მათი სრული ერთიანობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის, ყველა ერისა და ეროვნების მატერიალური და სულიერი ძალების ყოველმხრივი აყვავების გზით.

ეროვნული ურთიერთობის სწორი ანალიზის ერთადერთი კრიტერიუმი ყოველთვის იყო და არის მისი ღრმა სოციალური შინაარსი, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი კლასობრივი პოზიციებიდან მიდგომა. მაგრამ ეს სულაც არ აუქმებს „ეროვნული ინტერესის" კატეგორიას, რომელიც ჩვენს პირობებშიც გულისხმობს თითოეული ერისა და ეროვნების ზრუნვას იმისათვის, რომ სახელი და დიდება მოუპოვოს თავის თავს, მთელ სოციალისტურ სამშობლოს.

საბჭოთა ფედერალიზმის განვითარების ისტორიული პერსპექტივის საკითხის გაშუქებისას გამოკვეთილად უნდა ვუჩვენოთ, რომ სსრ კავშირი ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების სახელმწიფო გაერთიანების ისეთი დინამიკური და ეფექტიანი ფორმა აღმოჩნდა, რომელიც ნავარაუდევია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად თანდათანობით გადაზრდის მთელი ისტორიული პერიოდისათვის. საბჭოთა ფედერალიზმმა შემდგომი კანონმდებლური განმტკიცება პოვა სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში, რომელმაც სსრ კავშირი განსაზღვრა როგორც **ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფო.** იგი განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფო ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობის მიზნით. „ჩვენი კურსია, აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობამ, — გავზარდოთ თითოეული რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი პოტენციალი და ამასთანავე მაქსიმალურად გამოვიყენოთ იგი მთელი ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის".

დღეს შეუძლებელია გადაჭარბებით შევაფასოთ ის წვლილი, რომელიც შეიტანა კაცობრიობის ისტორიაში ლენინის ინიციატივით შექმნილმა საკავშირო მრავალეროვანმა სახელმწიფომ. „ის, რომ სსრ კავშირში პირველად აშენდა სოციალისტური საზოგადოება, პირველად იქნა ნაჩვენები პრაქტიკულად, თუ რა არის ხალხთა ნამდვილად თანასწორუფლებიანი ძმური ურთიერთობა, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უეჭველია ეხსომებათ და დააფასებენ ხალხები ყველა დროში".

სსრ კავშირის შექმნა მრავალეროვანი, ღრმად ინტერნაციონალური ბოლშევიკთა ლენინური პარტიის უდიდესი დამსახურებაა. თანამედროვე პირობებში განუხრელად იზრდება მისი ხელმძღვანელი, წარმმართველი და მაორგანიზებელი როლი ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებების განვითარებაში, მათი ძმური კავშირის შემდგომ განმტკიცებაში.

სსრ კავშირის შექმნასა და წარმატებულ განვითარებას წარუვალი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი ნიმუში და მისაბაძი მაგალითი გახდა მსოფლიოს ყველა მრავალეროვანი ქვეყნისათვის. მან ცხადყო, რომ მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია სწორად გადაწყვიტოს ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს ფარგლებში სხვადასხვა ერის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, უზრუნველყოს მათ შორის ძმური მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა, მიაღწიოს თითოეული ერისა და ეროვნების მატერიალური და სულიერი ძალების ნამდვილ აყვავებას, მათს სულ უფრო მეტად დაახლოებასა და სრულ ერთიანობას.

ვლ. მერკვილაძე,
პროფესორი.

მეცადინეობის სანიმუშო გეგმა

გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული ლიტერატურისა და პროფესორ ვ. მერკვილაძის [illegible]

[illegible] ლების, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ერთიანობისა და ძმური მეგობრობის მკაფიო დადასტუ- [illegible]

ლიტერატურა

ვ. ი. ლენინი — [illegible]

[illegible]

გორკის დღეები საქართველოში

აქ იწყებოდა დიდი მწერალი...

საქართველოში დაიწყო გორკის დღეები, რომელიც ეძღვნება მოთხრობა „მაკარ ჩუდრას“ გამოქვეყნების 90 წლისთავს. ჟამთა ვითარებისაგან გაყვითლებული 1892 წლის 12 სექტემბრის გაზეთი „კავკაზი“, სადაც პირველად დაიბეჭდა მაშინ ჯერ კიდევ უცნობი ჭაბუკის ალექსი პეშკოვის მოთხრობა, დღეს ძვირფასი რელიკვიაა და მოწმობს, რომ საქართველოში, როგორც მწერალი, დაიბადა სოციალისტური რეალიზმის მომავალი ფუძემდებელი მაქსიმ გორკი და თვით „რევოლუციის ქარიშხალას“ არასდროს არ ავიწყდებოდა, რომ საქართველო გახდა მისი ლიტერატურული სამშობლო.

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი საბჭოთა მეცნიერების — გორკისმცოდნეების, მწერლების დიდი ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, გაეცნობიან „მოხიბვლელი მხარის“ მემორიალურ ადგილებს, მოინახულებენ იმ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთის დიდი შვილების — პუშკინისა და ლერმონტოვის, ტოლსტოისა და ჩაიკოვსკის, ჩეხოვისა და ესენინის და, რა თქმა უნდა, გორკის სახელთან, რომლის ნაბიჯები და სუნთქვა ახსოვთ თბილისის, იმ ქალაქის ძველ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს, სადაც, ნიკოლოზ ტიხონოვის თქმით, „იყურები, ვითარცა მთიდან“.

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურისა და მეცნიერების წარმომადგენლები ამ დღეებში კიდევ და კიდევ უცხადებენ მადლობას ჩვენს ქალაქს, მთელ ქართულ მიწა-წყალს, რომელიც „პარნასი“ გახდა რუსეთის ბევრი საუკეთესო შვილისათვის, შესანიშნავ ქმნილებებში, რომ უკვდავყვეს ქართველი ხალხისადმი სიყვარული და ძმობა.

საქინფორმი სიტყვას აძლევს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ბ. პირადოვს, რომელიც მკითხველებს ესაუბრება, როგორ დაიწერა „მაკარ ჩუდრა“:

ეს იყო ზუსტად ოთხმოცდაათი წლის წინათ. ქალაქში ბინდი ჩამოწვა. დიდებულად გადმოსცქეროდა მის ქუჩებსა და შესახვევებს ფიქრებში წასული მთაწმინდა. სახლების ფანჯრებში ინთებოდა გულის გამთბობი სინათლე. სულ უფრო იკლებს ქუჩაში გამვლელებმა, სადღაც გაუჩინარდნენ დილილი მეეტლეები თავიანთი ეტლებით. აითო ლამპები დიდ ორსართულიან სახლშიც, რომელიც დაჩრდილული ბაღით შემოვლებულ ელისაბედის ქუჩაზე იდგა.

ეს იყო ხალხმრავალი სახლი, რომელიც რაღაცით ორგემბანიან გემს წააგავდა. სწორედ ამ სახლის ქვედა სართულში ოროთახიანი ბინა ჰქონდა დაქირავებული ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მოსამსახურეს ალექსანდრე მეთოდეს ძე კალიუჟნის. მალე მას შემდეგ, რაც კალიუჟნის ცოლ-შვილი აგარაკზე გაემგზავრა, ერთ-ერთ ოთახში დაბინავდა მაღალი ცისფერთვალა ახალგაზრდა, რომელიც მძიმედ დააბოტებდა უხეში ჩექმებით და ეცვა მუქი ფერის ხალათი. როგორც ჩანს, გარეგნულად ყველამ გადაწყვიტა, ალბათ მუშააო. ეს ჭაბუკი საეჭვოდ იქცეოდა. მოდიოდა გვიან ღამით, იღლიისქვეშ ამოჩრილი წიგნებით, ღამღამობით იჯდა ფანჯარასთან, რომელზეც ლამპა ენთო.

ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ეზოში შემოგორდა ჩამრგვალებული ქვაბქუდიანი, მუქსათვალიანი ბატონი. უფერული ულვაშების გამო მისი არამეტყველი სახე ასობით სხვა სახეს წააგავდა. მან გამოიკითხა, ვინ დაბინავდა კალიუჟნისთან, რა ჰქვია მას, სად მსახურობს, ვის ხვდება...

როგორც ჩანს, მეზობლების პასუხმა იგი ვერ დააკმაყოფილა.

მაგრამ იქ, სადაც ქვაბქუდიანი ბატონი მსახურობდა, ბევრი რამ იცოდნენ კალიუჟნისა და მისი მდგმურის შესახებ. მათთვის ცნობილი იყო, რომ ალექსანდრე კალიუჟნი დაიბადა ხარკოვში, რომ უნივერსიტეტის სტუდენტობის დროს დააპატიმრეს და სამხედრო-საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად „დამნაშავედ ცნეს არსებული წყობილების დამხობის განზრახვით შეთქმულების მოწყობაში“. სასჯელის მოხდის შემდეგ კალიუჟნის ნება დართეს დასახლებულიყო თბილისში, სადაც იგი 1890 წელს ჩაირიცხა რკინიგზის სამმართველოს საბაჟო სამსახურის საქმეთა მწარმოებლად.

ჟანდარმებმა გამოარკვიეს, რომ კალიუჟნისთან დაბინავებული კაცი ყოფილა ნიჟნი ნოვგოროდის სამღებრო სამქროს მუშა, რომელიც მეტაბელედ მუშაობს მთავარ სარკინიგზო სახელოსნოებში, არაერთხელ ყოფილა შენიშნული საეჭვო მუშებთან, ადგილობრივი სასწავლებლების მოსწავლეებთან და ზოგიერთ ინტელიგენტთან ურთიერთობაში.

მაგრამ ჟანდარმებმა ბევრი რამ არ იცოდნენ. მათ არ იცოდნენ, რომ განსაკუთრებულმა პატიოსნებამ, ალალმართლობამ, ადამიანებისადმი ყურადღებიანმა დამოკიდებულებამ, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის ზედმიწევნით ცოდნამ კალიუჟნის მოუპოვა ყველა იმათი განსაკუთრებული სიმპათია, ვინც მას ახლო იცნობდა. მათ არც ის იცოდნენ, რომ ნიჟნინოვგოროდელი მუშა, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ მთელ ქვეყანაში გაითქვამს სახელს, გულში ატარებს ალექსანდრე მეთოდეს ძე კალიუჟნის ნათელ სახეს და ყოველთვის გაიხსენებს მას გულშიჩამწვდომი სიტყვებით: „ჩემი ძველი მეგობარი, საყვარელი ჩემი მასწავლებელი“, და სამუდამოდ დაამახსოვრდება მისი მშვენიერი მუქი თაფლისფერი თვალების გამჭრიახი მზერა...

სექტემბრის იმ წყნარ საღამოს დიდ სახლში, სადაც კალიუჟნი ცხოვრობდა, თითქმის არავინ არ ფიქრობდა ჭაბუკზე, რომელსაც მუშის ხელები და მოაზროვნის მზერა ჰქონდა. იგი კი ფანჯარასთან იჯდა წვრილ გრეხილფეხებიან პატარა ლომბერის მაგიდასთან და წერდა სქელ ცალხაზიან ქაღალდზე. ბურთულებივით მრგვალი ასოები სტრიქონებად ლაგდებოდა. ალიოშა პეშკოვს გასაოცარი სიცხადით, ფოტოგრაფიული სიზუსტით თვალწინ უდგებოდა ზმანებანი, რომლებიც მის საოცარ მეხსიერებას შემოენახა. ბევრი რამ უნახავს ამ ჭაბუკს, უკან დარჩა უსიხარულო ბავშვობის ძნელი წლები, გემზე ჭურჭლის მრეცხავის, ხატწერის სახელოსნოში საღებავების გამზავებლის, ხელზე მოსამსახურე ბიჭის, მეფუნთუშის, ბოთლების მრეცხავის, მებაღის მძიმე იძულებითი შრომა, კბილებში ჩარტყმა და სილის გაწვნა, ასე უხვად რომ იმეტებდა მისთვის უმოწყალო ბედი. იგი ადრე მიხვდა, რომ ყველანაირი სამუშაოს შესრულება შეიძლება ისეთივე ხალისით, როგორითაც სიმღერა ან ლექსების თხზვა. ახალ-ახალ განსაცდელს აწყდებოდა იგი და საოცრად სურდა განშორებოდა „ამ საზიზღარი ცხოვრების სამაგლობას“, და იგი დიდხნობით მოგზაურობდა ვოლგისპირეთის ქალაქებში, დონისა და დნეპრის ველებში, ყირიმში, ისწრაფვოდა კავკასიაში, რომელსაც ყველა პოეტმა ხოტბა შეასხა.

მას გონებაში თვალწინ წარმოუდგებოდა ქვეყნის გზებზე შეხვედრილი საოცარი ადამიანები, აგონდებოდა მათი სულის შემძრავი ბედი. ალიოშა პეშკოვის დაუშრეტელი ფანტაზიით შემკობილი ეს ადამიანები გადაიქცეოდნენ ხოლმე ლამაზ, ამაყ და მგზნებარე ადამიანებად, თამამად ოცნებობდნენ თავისუფლებაზე, შესწევდათ თავიანთი მისწრაფებებისათვის გულად მებრძოლთა ჯადოსნური ძალა. თითოეულ მოთხოვარში, საცოდავ მაწანწალაში, ყველა მაშვრალში პეშკოვი ადამიანს ჰვრეტდა.

ალიოშა დაფიქრებული კვლავ თავს ხრიდა დაუმთავრებელ ფურცლებზე. სტრიქონებად ლაგდებოდნენ მრგვალი ასოები...

შემდეგ და შემდეგ უფრო გაუიოლდა წერა. უფრო სწრაფად სრიალებდა კალამი ქაღალდზე. ცოცხალივით იკვეთებოდა მოხუცი ბრძენი ბოშის მაკარ ჩუდრას სახე, თითქოს ისმოდა მისი ხრინწიანი, მაგრამ ამავე დროს მღერადი ხმა, რომელიც ძველებურ თქმულებას ჰყვებოდა ახალგაზრდა მამაცი ბოშის ლოიკო ზობარისა და ამაყი მზეთუნახავის რადას შესახებ. თავისუფლებისადმი სიყვარული მათთვის უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ერთმანეთისადმი სიყვარული...

მიჩუმდა მოხუცი ბოშის ხმა. ალიოშა პეშკოვმა კიდევ რამდენიმე სტრიქონი დაწერა და კალამი გადადო, მოქანცული გადაწვა ვენური სკამის ჭრიალა საზურგეზე. ფანჯრიდან გარიჟრაჟი იცქირებოდა. მახათის მთიდან ოქროსფერი მზე იწვერებოდა. უხმაუროდ გაიღო კარი. შემოვიდა კალიუჟნი, ალერსიანად დაადო თბილი ხელი მხარზე ჭაბუკს.

— ისევ მთელ ღამეს წერდი, ალიოშა? — შეეკითხა იგი თავისი რბილი, ხავერდოვანი ხმით.

— დიახ, ალექსანდრე მეთოდის ძევ, მაგრამ ამჯერად ვფიქრობ, გამომივიდა...

კალიუჟნი ყურადღებით უგდებდა ყურს სიტყვების მუსიკას.

— მშვენიერია!—წამოიძახა მან. — ეს უნდა დავბეჭდოთ! ხვალვე წაიღეთ თქვენი მოთხრობა ცვეტნიცკისთან. იგი დაგეხმარებათ.

დაგრაგნილი ხელნაწერით ალექსი პეშკოვი იდგა ერევნის მოედანზე შენობის წინ, სადაც რედაქცია იყო მოთავსებული. იგი გაბედულად ავიდა მეორე სართულზე, მოძებნა ვლადიმერ დიმიტრის ძე ცვეტნიცკი. პეშკოვი მას კარგად იცნობდა. შეხვედრია იმ რუს რევოლუციონერ ხალხოსანთა წრეში, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ ხანგრძლივი პატიმრობისა და გადასახლების შემდეგ და რომლებსაც პოლიცია მეთვალყურეობას უწევდა. მან იცოდა, რომ რუსული სიტყვიერების მასწავლებელი ცვეტნიცკი გაზეთში თანამშრომლობდა და კორექტურით შოულობდა ლუკმაპურს.

ცვეტნიცკიმ თვალი გადაავლო ხელნაწერს და მტკიცედ თქვა:

— ეს შედევრია! მე დავიყოლიებ რედაქტორს, მაგრამ თქვენ ხელი არ მოგიწერიათ, პეშკოვ!

ჭაბუკი დაფიქრდა. შემდეგ ხელნაწერი მაგიდის კუთხეში დადო და მტკიცედ მოაწერა: „მაქსიმ გორკი“.

— თქვენ იქნებით მწერალი,— არწმუნებდა მას ცვეტნიცკი. და მაშინვე გაახსენდა ალექსი პეშკოვს მისი სხვა ახლო ნაცობი, რომელიც მხურვალედ ესწრაფვოდა და გაეღვივებინა მასში ხელოვნის შესაძლებლობის რწმენა, — ეგნატე ნინოშვილი. როგორც შემდეგ იხსენებდა გორკი, ეს იყო „გამხდარი და ფიზიკურად სუსტი, მაგრამ თავისი შემოქმედებით ძლიერი“ შესანიშნავი ქართველი რეალისტი მწერალი და მგზნებარე რევოლუციონერი. ნინოშვილს მტკიცედ სწამდა, როცა ახალგაზრდა გორკის მოთხრობებს ისმენდა, რომ დადგება დრო, და იგი „უთუოდ იტყვის ახალ სიტყვას და გაკაფავს ახალ გზას“, სწამდა, რომ ეყოლება „ბევრი მკითხველი, რომლებიც შეიყვარებენ მას“.

1892 წლის 12 სექტემბერს გამოვიდა გაზეთ „კავკაზის“ მორიგი, 242-ე ნომერი. მესამე გვერდზე დაბეჭდილი იყო მაკარ ჩუდრა, მოთხრობას ხელს აწერდა მაქსიმ გორკი.

ყველა, ვინც ეს მოთხრობა წაიკითხა, მიხვდა: დაიბადა ნამდვილი მწერალი. მოთხრობის ენა და ფორმა იყო უზადო, ავტორი ეხებოდა ახალ, მის პირად თემას, ახალი ფერებით ელვარებდნენ მის მიერ ნაპოვნი მხატვრული სახეები, ჟღერდა მარტო მისთვის დამახასიათებელი ინტონაციები. ახალგაზრდა მწერალი უმღეროდა ადამიანს, მის ზნეობრივ შესაძლებლობებსა და ძალას, რომლებსაც ემორჩილება ისტორია, რომლებიც ამარცხებენ სიბნელესა და ბოროტებას.

* * *

სურათზე: მ. გორკის დღეების მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.

ვ. ვენზიურის ფოტო.

მოსკოვი ეთხოვება ი. ქ. ბაგრამიანს

საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დიდი დანაკლისი განიცადეს, გარდაიცვალა ივანე ქრისტეფორეს ძე ბაგრამიანი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავარი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი. მგზნებარე პატრიოტი, დიდი სამამულო ომის გმირი ი. ქ. ბაგრამიანი ყველა პოსტზე, რომლებსაც მას კომუნისტური პარტია ანდობდა, ყოველთვის ავლენდა მინდობილი საქმისათვის მაღალ პასუხისმგებლობას, შემოქმედებითს ინიციატივას, მხედართმთავრის ორგანიზატორულ ნიჭს.

... მ. ვ. ფრუნზეს სახელობის საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლი. 23 სექტემბერს აქ, წითელდროშოვან დარბაზში, ყვავილებში ჩაფლულ მაღალ კვარცხლბეკზე დადგმულია განსვენებულის კუბო.

კვარცხლბეკის წინ წითელ ბალიშებზე აწყვია ჯილდოები, რომლებითაც აღინიშნა ი. ქ. ბაგრამიანის დიდი დამსახურება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე.

დახრილია ძაძით მოსილი საბრძოლო დროშები. კუბოსთან საბჭოთა არმიის მეომრები დგანან.

კვარცხლბეკი შემკულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გვირგვინით.

დარბაზში შემოაქვთ ახალ-ახალი გვირგვინები, მათ შორის სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მოსკოვის მშრომელთა, განსვენებულის ნათესავებისა და ახლობლების გვირგვინები.

ჟღერს სამგლოვიარო მელოდიები. მწუხარე დუმილით ჩაუარა კუბოს ათასობით ადამიანმა.

სამგლოვიარო ვახტზე პირველნი იდგნენ დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები. ისინი შეცვალეს მარშლებმა, გენერლებმა და ადმირალებმა, პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, მუშებმა.

10 საათი და 30 წუთია. საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი.

შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები მიდიან ი. ქ. ბაგრამიანის ნათესავებთან და ახლობლებთან და ღრმა სამძიმარს უცხადებენ მათ.

უწყვეტ ნაკადად მოდის ხალხი წითელდროშოვან დარბაზში. დედაქალაქის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები, დაწესებულებათა თანამშრომლები, მოსკოვის ოლქის მშრომელები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, სტუდენტები და მოსწავლეები მოვიდნენ აქ, რათა გამოსთხოვებოდნენ ი. ქ. ბაგრამიანს.

ყოველ სამ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. სამგლოვიარო ვახტზე დგებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მთელი დღის განმავლობაში მოსკოვი ეთხოვებოდა ი. ქ. ბაგრამიანს, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანებს გულში. (საკდესი).

სურათზე: კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები საპატიო ყარაულში.
საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სიტყვა მხედართმთავარზე

მისი ნათელი სახე

უაღრესად სამწუხარო და გულსატკენია გამოჩენილი მხედართმთავრისა და შესანიშნავი კომუნისტი მოქალაქის, საბჭოთა კავშირის მარშლის ივანე ბაგრამიანის გარდაცვალება.

დიდად საყვარელი, მომხიბლავი მეთაური და აღმზრდელი იყო მარშალი ივანე ბაგრამიანი. სამშობლოსათვის ცხარე ბრძოლების ქარცეცხლში გამოწრთობილი და აღზრდილი სარდალი, ჩინებული მეგობარი და მზრუნველი ხელმძღვანელი გახლდათ. ეს ყველაზე უფრო მისმა უშუალო თანამებრძოლებმა და ხელქვეითებმა ვიცით და ამიტომ არის, რომ დღეს ასე გულდაწყვეტილი ვემშვიდობებით ამ სახელოვან კაცურ კაცს.

მე მხვდა წილად ბედნიერება მარშალ ივანე ბაგრამიანის უშუალო ხელმძღვანელობით გამევლო სამამულო ომის ქარცეცხლიანი გზები, უფრო შემეგრძნო და განმეცადა მისი ჭკვიანური ხელმძღვანელობა, ადამიანური თვისებები, რიგითი ჯარისკაცისადმი მზრუნველობა და მისი მოსიყვარულე გულის მგზნებარება.

მაგონდება ომის მძიმე წლები. მაშინ ივანე ბაგრამიანი პირველ ბალტიისპირეთის ფრონტს სარდლობდა, მე კი ამ ფრონტის ერთ-ერთ კორპუსს ვმეთაურობდი. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება მისი ნათელი სახე, ჭკვიანური მითითებები, გაბედული იდეები და აზრები, გულისხმიერება ყველასადმი, განსაკუთრებით კი რიგითი ჯარისკაცებისადმი. ეს დიდი ადამიანური თვისებები ყველა მის ხელქვეითს თან გვდევდა მთელი ბრძოლის მანძილზე.

ერთხელ ფრონტის შტაბში ოპერატიულ თათბირზე გამომიძახეს. შენაერთების მეთაურთა ამ შეკრებას თვით სარდალი ხელმძღვანელობდა. ოპერატიული განყოფილების უფროსმა კორპუსების მეთაურთა გვარები რომ ამოიკითხა, ჩემი გვარის ხსენებაზე მარშალმა მკვირცხლად ასწია თავი და იმ კუთხეში გამოიხედა, სადაც მეთაურთა შორის ვიჯექი. რა თქმა უნდა, მაშინვე წამოვდექი, მან გამიღიმა და მომხსენებელს რაღაც გადაულაპარაკა. ახლაც ნათლად მახსოვს როგორ საფუძვლიანად გაგვაცნო ამოცანები, რომლებიც შეტევის წინ ჩვენს წინაშე იდგა, როგორ დაგვარიგა, აგვიხსნა და გაგვარკვია ვითარებაში. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ თითოეულ ჩვენგანს მთავარი ყურადღება მიგვექცია ცოცხალი ძალების, თითოეული ჯარისკაცის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

თათბირის დამთავრების შემდეგ მესმის ბრძანება.

— კორპუსის მეთაური თავართქილაძე, სარდალთან!

მე მაშინვე გავემართე ბაგრამიანისაკენ. მასთან ერთად რამდენიმე სამხედრო პირი იდგა. გამოვეცხადე, მან შინაურულად ჩამომართვა ხელი და იქ მყოფთ მიმართა:

— ჩვენებურია, ჩემი მიწაწყლის კაცი, მომენატრა ქართველებთან საუბარი. შემდეგ გამომკითხა კორპუსში არსებული მდგომარეობა, ჯარისკაცთა განწყობილება, შეიარაღება, მომარაგება, ჩემი ვინაობაც დააზუსტა და ბოლოს კორპუსის ამოცანებზე უაღრესად საყურადღებო რჩევა-დარიგება მომცა.

ერთი სიტყვით, ის საბრძოლო ოპერაცია წარმატებით დამთავრდა. ამის შემდეგ რამდენჯერმე შევხვდი ფრონტის სარდალს და ყოველთვის ყურადღებითა და გულისხმიერებით მექცეოდა, ვგრძნობდი მის დიდ ადამიანურ თვისებებს და მზრუნველობას.

თითქმის 40 წელი გავიდა მას შემდეგ და ახლაც ნათლად მახსოვს ამ შესანიშნავი სარდლისა და აღმზრდელის, ჩინებული მოქალაქისა და კომუნისტის, ქართველი ხალხის ნამდვილი მეგობრისა და მოყვარულის, საბჭოთა კავშირის მარშლის ივანე ბაგრამიანის სახე, მისი საბრძოლო საქმეები. ამიტომაც უფრო მეტად მტკივა გული მისი დაკარგვის გამო. დიდი სამამულო ომის ვეტერანები დღეს თავს დახრიან გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავრის ივანე ბაგრამიანის პატივსაცემად და არასოდეს დაივიწყებენ მის საგმირო საქმეებს, ნათელ ხსოვნას.

ნ. თავართქილაძე,
გადამდგარი გენერალ-მაიორი.

სსრ კავშირი—ინდოეთი: მტკიცე მშვიდობის კურსი

საბჭოთა კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკება საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. პრესა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ფართოდ აქვეყნებენ და განმარტავენ სიტყვებს, რომლებიც წარმოთქვეს ლ. ი. ბრეჟნევმა და ინდირა განდიმ კრემლში გამართულ სადილზე, ხაზს უსვამენ მათ დიდ მნიშვნელობას მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის, ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მიუხედავად ყველა სახელმწიფოს ხალხთა ნდობისა და ურთიერთგაგების კლიმატის შექმნისათვის. მსოფლიო პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებულ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს.

„ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ „საბჭოთა პრეზიდენტმა ლეონიდ ბრეჟნევმა და პრემიერ მინისტრმა ინდირა განდიმ დაგმეს ისრაელი გასულ კვირას პალესტინელთა ბანაკებში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტისათვის და ვაშინგტონს არაპირდაპირ დასდეს ბრალი ლიბანში ისრაელის დანაშაულებრივი აგრესიის წაქეზებისათვის“.

„ტოკიო სიმბუნი“ აღნიშნავს, რომ ახალი საბჭოთა ინიციატივები და საბჭოთა კავშირში ი. განდის ვიზიტი როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის დიდ ყურადღებას იპყრობს.

„ლ. ი. ბრეჟნევი: ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებმა არ უნდა გააფართოონ თავიანთი მოქმედების სფერო“ — ამ სათაურით აქვეყნებს საბჭოთა ხელმძღვანელის გამოსვლის შინაარსს **სტრიიხ პრესს საგენტო.** ლ. ი. ბრეჟნევმა, ნათქვამია საგენტოს ცნობაში, ხაზი გაუსვა სკკპ XXVI ყრილობის მიერ მოწონებულ 80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამას და სსრ კავშირის ბევრ ინიციატივას, რომელთა მიზანია ქვეყნად მშვიდობის განმტკიცება.

ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“ აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ისეთი ღონისძიებების დიდ მნიშვნელობას, როგორიც არის ცენტრალურ ევროპაში ჯარების რიცხვისა და შეიარაღების შემცირება, საშუალო სიშორის ისეთი ბირთვული იარაღის განლაგების შეჩერება და რაოდენობის შემცირება, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს ობიექტები დასავლეთ ევროპაში, და ბოლოს, საბჭოთა კავშირის ნებაყოფლობითი ვალდებულება — პირველმა არ იხმაროს ბირთვული იარაღი.

„ნოიეს დოიჩლანდი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელიც ბეჭდავს ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. განდის სიტყვების შინაარსს, ხაზს უსვამს საბჭოთა ხელმძღვანელის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირი მხარს უჭერს დაძაბულობის შენელებას, ომის საფრთხის აღკვეთას, მთელ მსოფლიოში მშვიდობიან თანამშრომლობას. გაზეთი ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის შეხვედრების დადებით ზემოქმედებას ორმხრივ ურთიერთობასა და აზიაში არსებულ ვითარებაზე, ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის როლს, როგორც მშვიდობიანი პოლიტიკის დიდმნიშვნელოვან პოზიტიურ ფაქტორს.

მსოფლიო პრესა აქვეყნებს კრემლში გამართულ სადილზე ლ. ი. ბრეჟნევისა და ინდირა განდის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს და გამოყოფს იმ ადგილებს, სადაც საქმე ეხება დიდ გულისწყრომასა და აღშფოთებას იმ სისხლისმღვრელი ორგიის გამო, რომელიც უკანასკნელ დღეებში მოაწყვეს ისრაელმა აგრესორებმა დასავლეთ ბეირუთში. ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო“ აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის იმ მოწოდების აქტუალობას, რომ განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა ბოლო მოუღონ აგრესიული ძალების თვითნებობას, კაცობრიობას თავიდან აარიდონ ბირთვული კატასტროფა.

საერთაშორისო
დღევანდელის
ზურბზე
ცხოვრება

საქდესისა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

23 სექტემბერი

მდგომარეობა ლიბანში

ბეირუთი. ლიბანის პრემიერ-მინისტრმა შ. ვაზანმა დღეს ეროვნული გლოვა გამოაცხადა საბრისა და შატილის პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებში ისრაელი ინტერვენტების მიერ მოწყობილი სისხლიანი ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად, სადაც 36-საათიანი მასობრივი რბევის შედეგად დაახლოებით 3300 მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა. ბანაკებში სახლების ნანგრევებიდან სასწრაფო დახმარებისა და ლიბანელ ჯარისკაცთა სპეციალურ რაზმებს უკვე მეოთხე დღეა ამოაქვთ დაღუპულთა გვამები.

როგორც ჩანს, ისრაელის მხედრიონნი არ აპირებს დასავლეთ ბეირუთის დატოვებას, სადაც იგი მუხანათურად შეიჭრა, ყველა წინა მორიგების მიუხედავად. ოკუპანტები დაპყრობილ ქალაქში მაროდიორობენ, იკავებენ ლიბანის ოფიციალურ დაწესებულებებს და ძარცვავენ მათ. როგორც იუწყებიან, ისინი შეიჭრნენ ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს შენობაში და იქიდან ბევრი დოკუმენტი მოიპარეს. ოფიციალური თელ-ავივი ცდილობს დაფაროს პალესტინელი და ლიბანელი ხალხების წინააღმდეგ თავიანთ სისხლიან დანაშაულობათა კვალი და უარყოფს მოთხოვნებს, რომ შეიქმნას კომისია საბრასა და შატილაში ჩადენილ ბოროტმოქმედთა გამოსაძიებლად.

ტუნისი. აქ გაიმართა არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო კონფერენცია, რომელიც მოიწვიეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თხოვნით. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეტ წილ არაბულ სახელმწიფოთა მინისტრები, აგრეთვე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელი.

შეხვედრის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს დასავლეთ ბეირუთში ისრაელი დამპყრობლების მიერ დახოცილი ათასობით პალესტინელისა და ლიბანელის ხსოვნას.

სხდომის გახსნისას ლიბიის უმაღლესი სახალხო კომიტეტის საგარეო ურთიერთობის სახალხო ბიუროს მდივანმა აბდელ ათიობეიდიმ შეერთებულ შტატებს ბრალად დასდო, რომ მისი სანქციით სიონისტებმა მოაწყვეს პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკების მცხოვრებთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა.

ირან-ერაყის ამბები

ბაღდადი. ირან-ერაყის ფრონტზე გრძელდება საომარი მოქმედება. როგორც ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის კომუნიკეშია ნათქვამი, განვლილ დღეღამეში ფრონტის ცენტრალურ უბანზე ერაყის ჯარებმა მოსპეს ირანის ცხრა სამხედრო მოსამსახურე და სათვალთვალო პუნქტი. სამხრეთ უბანზე, დასახლებული პუნქტის ათ-თიბის რაიონში, მოსპობილია სატვირთო ავტომანქანა, ჩრდილოეთით — მოწინააღმდეგის სათვალთვალო პუნქტი. კომუნიკეში ნათქვამია აგრეთვე, რომ ირანის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა და მატერიალური ზარალი მიაყენა ერაყის ქალაქ ბასრას.

თეირანი. განვლილი ორი დღე-ღამის განმავლობაში ირანის ჯარებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 250-ზე მეტი ერაყელი სამხედრო მოსამსახურე, ნათქვამია „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ კორპუსის ცენტრალური შტაბისა და ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ერთობლივ ცნობაში. საარტილერიო სროლა, ნათქვამია ცნობაში, წარმოებდა 200-კილომეტრიან უბანზე მდინარე შატ-ელ-არაბის გასწვრივ და ქალაქ აჰვაზის რაიონში. ქალაქ მეიმაყის რაიონში ბრძოლების დროს ირანის არტილერიამ მოსპო ერაყელთა ორი ტანკი, 57-მილიმეტრიანი საარტილერიო დანადგარი, 75 გამაგრებული ბუნკერი, 45 სათვალთვალო პუნქტი და სამი ტყვია-წამლის საწყობი.

კამპუჩიის საინფორმაციო საგენტოს განცხადება

პნომპენი. კამპუჩიის საინფორმაციო საგენტომ უარყო ტაილანდის მხარის განცხადება, თითქოს ვიეტნამი ზრდიდეს შეიარაღებული ძალების რიცხვსა და შეიარაღებას კამპუჩია-ტაილანდის საზღვარზე.

კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკამ და ვიეტნამის სოციალისტურმა რესპუბლიკამ, ხაზგასმულია კამპუჩიის საინფორმაციო საგენტოს განცხადებაში, გამოხატეს რა კეთილი ნება, მიაღწიეს მორიგებას იმის თაობაზე, რომ კამპუჩიისა და ტაილანდის საზღვარზე უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით გაიყვანონ ვიეტნამის ჯარების გარკვეული ნაწილი კამპუჩიის ტერიტორიიდან. ტაილანდის ხელისუფალთა სრულიად უსაფუძვლო განცხადებების მიზანია გაამწვავონ დაძაბულობა კამპუჩიის საზღვარზე და შეცდომაში შეიყვანონ საერთაშორისო საზოგადოებრიობა.

არჩეულია ახალი პრეზიდენტი

ბეირუთი. პარლამენტის სხდომაზე ლიბანის ახალ პრეზიდენტად ექვსი წლის ვადით არჩეულია მემარჯვენე ქრისტიანული პარტიის კატაიბის ერთ-ერთი ლიდერი ამინ ჟმაიელი. ეს განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ კ. ალ-ასაადმა.

ა. ჟმაიელი ერთადერთი კანდიდატი იყო ამ პოსტზე. იგი ძმაა 23 აგვისტოს ლიბანის პრეზიდენტად არჩეული ბაშირ ჟმაიელისა, რომელიც კატაიბის პარტიის შტაბ-ბინაში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა.

გავუფრთხილდეთ ისტორიის ძეგლებს

21 სექტემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო მღვიმე ქალაქების დაცვისა და რესტავრაციის მეთოდიკის პრობლემებისადმი მიძღვნილმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა. იგი მოაწყო ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხთა საერთაშორისო საბჭოს საბჭოთა კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან ერთად.

სიმპოზიუმის გახსნისას ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხთა საერთაშორისო საბჭოს საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა ო. შვიდკოვსკიმ აღნიშნა, რომ საქართველო შემთხვევით როდია არჩეული მღვიმური კომპლექსების შესწავლისა და დაცვის პრობლემებზე მომუშავე მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების წარმომადგენლობითი შეხვედრის ადგილად. აქ შემონახულია კლდოვანი ქალაქები და მონასტრები, მიუვალ კლდის მასივებში გამოკვეთილი კომპლექსები და ანსამბლები, რომლებიც დღემდე გვაოცებს არა მარტო მასშტაბურობით, ხუროთმოძღვრული აზროვნების სითამამითაც, უცნობ ოსტატთა მაღალი გემოვნებით, რომლებმაც ჯერ კიდევ კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე დაამტკიცეს, რაოდენ ამოუწურავია ადამიანის შესაძლებლობანი.

მღვიმე ქალაქებს ყველაზე ადრეული ისტორია აქვთ, რამეთუ ადამიანი პირველად ეზიარა ხელოვნებას და დაგვიტოვა კლდეზე გამოსახული შედევრები. მღვიმე ქალაქებმა, ადამიანთან ერთად, განვლეს შუა საუკუნეები და მეოცე საუკუნეში შემოვიდნენ როგორც ისტორიის ძეგლები. სამწუხაროდ, მღვიმოვანი ნაგებობანი მთელ მსოფლიოში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის შესწავლილი. ამას ვერ ვიტყვით საქართველოზე, სადაც სპეციალისტთა დიდი ჯგუფი არა მარტო აქტიურად სწავლობს მათ, არამედ შემუშავებულია კიდეც ასეთი კომპლექსების დაცვისა და რესტავრაციის მეტად საგულისხმო მეთოდები.

ორატორი საბჭოთა მთავრობის სახელით გულთბილად მიესალმა საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, იტალიის, პორტუგალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, ლუქსემბურგის თვალსაჩინო მეცნიერებს და მადლობა მოახსენა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას საქართველოში საერთაშორისო სიმპოზიუმის გამართვის შესაძლებლობისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ მისი შედეგები ფრიად სასარგებლო იქნება.

საქართველოს მთავრობის სახელით სიმპოზიუმის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა მათ.

—ამ ბოლო დროს,—აღნიშნა ო. ე. ჩერქეზიამ, — მთელ მსოფლიოში იგრძნობა ცხოველი ინტერესი ისტორიისა და კულტურის ძეგლებისადმი. ჩვენს ქვეყანაში ზრუნვა ხალხის სულიერ ღირებულებათა დაცვისათვის სახელმწიფო პოლიტიკად არის გამოცხადებული. 1977 წელს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციასა და საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებში შეტანილია სპეციალური მუხლები, გამოიცა კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“. ამ ღონისძიებათა შედეგი გახდა ის, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების სპეციალური სამმართველო.

სიმპოზიუმის მონაწილეებს მიმართეს ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხთა საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტმა, ფრანგმა პროფესორმა მიშელ პარანმა და იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რესტავრაციის საკითხთა საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა სევატ ერდერმა (რომი). მათ მოუწოდეს მღვიმოვან ნაგებობათა პრობლემებზე მომუშავე მეცნიერებს გააერთიანონ მეცადინეობა, რათა გადაარჩინონ კაცობრიობის ცივილიზაციის უძველესი ძეგლები.

მოხსენება „საქართველოს ძირითადი კლდოვანი ანსამბლები და მათი შენარჩუნების მეთოდიკა“ სიმპოზიუმზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსმა პროფესორმა ი. ციციშვილმა.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი: „ყირიმის მღვიმე ქალაქები“, „მღვიმოვანი კომპლექსის ვარძიის დაცვა და რესტავრაცია“, „უფლისციხისა და ვარძიის მღვიმოვანი ძეგლების ზედაპირული ნგრევის მიზეზები და მათი ხანგამძლეობის გადიდების შესაძლებლობანი“, „ბულგარეთის ივანოვოსა და ჩერვენის მღვიმე ეკლესიების ფრესკების რესტავრაციის ტექნიკა და მასალები“, „შუა აზიის მღვიმოვანი არქიტექტურის კონსერვაციის პრობლემებისათვის“ და სხვ.

სიმპოზიუმის გახსნას დაუკავშირდა ფოტოგამოფენა, რომელიც ფართოდ ასახავს საქართველოს კლდოვან ანსამბლებს.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

ამ ორი დღის განმავლობაში სიმპოზიუმის მონაწილენი იმუშავებენ უშუალოდ ვარძიისა და უფლისციხის მღვიმოვან კომპლექსებში, დაათვალიერებენ მცხეთის, ბორჯომის, გორის ღირსშესანიშნაობებს, შემდეგ კი ერევანს გაემგზავრებიან.

(საქინფორმი).

ქართველი მეცნიერის აღიარება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრე ბარამიძე გახდა კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი. საუკეთესო სალიტერატურათმცოდნეო ნაშრომისათვის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ეს პრემია მხცოვან მეცნიერს მიენიჭა წიგნისათვის „ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები“, რომელიც ორი წლის წინათ დასტამბა სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. პრემირებული წიგნი ალექსანდრე ბარამიძის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულია, რომელშიც შევიდა ძირითადად შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკისადმი მიძღვნილი უკანასკნელი წლების გამოკვლევები.

— ჩემი დაუვიწყარი მასწავლებლის სახელობის პრემიის მონიჭება დიდი პატივია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ალექსანდრე ბარამიძემ.

ეს საპატიო ჯილდო მაკისრებს კიდევ უფრო პასუხსაგებ ამოცანას — ერთგულად ვემსახურო საბჭოთა მეცნიერებას.

თეატრალური პრემიერები



ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიხსნა ახალი სეზონი. რეპერტუარშია ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი", ვაჟა აზარაშვილის ბალეტი „ხევისბერი", პუჩინის ოპერა „ტოსკა", დავით თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი", რომელიც ეძღვნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს და სხვა სპექტაკლები.

თეატრის ახალ დადგმებს შორისაა ვ. აზარაშვილის ბალეტი „ხევისბერი" სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ზ. მოჩავარდისაშვილმა, დირიჟორი — რ. ხურცილავა, მხატვარი — უ. ხიმერლიშვილი, მთავარ როლებს ასრულებენ ლ. ყურაშვილი (ძიძია), ი. ჩუიკო (ჯონისე), ა. იუსუპოვი (ხევისბერი).

სურათზე: სცენა ვ. აზარაშვილის ბალეტიდან „ხევისბერი".

ო. ბერეჩიკიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჭადრაკი

FIDE GENS UNA SUMUS

საზონათაშორისო ტურნირებზე

ლიდერებს განსაკუთრებით „ემტერებიან"

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის თბილისის საზონათაშორისო შეჯიბრების მეხუთე ტურში გურიელმა შავებით ტიტორენკოსთან ჯერ გაათანაბრა მდგომარეობა, მაგრამ შემდეგ მცდარი გეგმა აირჩია. მოსკოველმა ოსტატმა თავისი ძალები სტრატეგიულად მნიშვნელოვან უჯრეებზე განალაგა და მატერიალურ უპირატესობასაც მიაღწია. მაგრამ იმ მომენტში, როცა ქართველი მოჭადრაკის მდგომარეობა, მეტი რომ არ ვთქვათ, უსიამოვნო იყო, გურიელმა დიდი ძალით დაიწყო თამაში. იგი მეტოქეს მაქსიმალურ დაბრკოლებებს უქმნიდა. ნინოს საერთოდ არ შეუძლია უარეს პოზიციაში გულხელდაკრეფილი იჯდეს და მისმა ამ ძალიან კარგმა თვისებამ ნაყოფიც გამოიღო. წააწყდა რა მეტოქის მედგარ წინააღმდეგობას, ტიტორენკომ თვით ითამაშა უზუსტოდ. ახლა გადადებულ პოზიციაში მოსკოველი ინარჩუნებს თავის მცირე მატერიალურ უპირატესობას, მაგრამ მსუბუქი ფიგურების ენდშპილში ხანგრძლივი ბრძოლაა მოსალოდნელი.

გათამაშების ლიდერი ლევიტინა ისვენებდა. ამით ისარგებლა ორმა მონაწილემ და გაუსწრო მას. პირველი გახლავთ რუმინელი მურეშანი, რომელმაც ზუსტად და თანმიმდევრულად ითამაშა შილანთან. ამ გამარჯვების შემდეგ მურეშანს 3,5 ქულა მოუგროვდა ოთხიდან. ამდენივე ქულა, ოღონდ 5 თამაშიდან მოაგროვა ახმილოვსკაიამ, რომელმაც სევერაიდთან ჩატარებული ბლიცერი იერიში გამარჯვებით დააგვირგვინა. ნიკოლინ-პიხაილიჩის, ვერეცი-პეტრონიჩ-ფიშდიკის და კადილკარ-მინოგინას შეხვედრებში დიდი ბრძოლა არ ყოფილა.

მექვსე ტურში გურიელმა მშვენივრად, რომ იტყვიან, „ერთი ამოსუნთქვით" ითამაშა. ახმილოვსკაია რომ სამეულში გასვლისთვის ბრძოლაში მისი უშალო მეტოქე იქნებოდა, ეს ადრეც იყო ცნობილი. ახლა ამას ისიც დაერთო, რომ სოჭელმა მოჭადრაკემ ჩინებულად ითამაშა სტარტზე და ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ამიტომაც იყო, რომ გურიელ-ახმილოვსკაიას შეხვედრას დიდი და პრინციპული მნიშვნელობა მიენიჭა. გათამაშდა ესპანური პარტიის ერთ-ერთი აქტუალური ვარიანტი. მომენტში გურიელმა, ფსიქოლოგიურად სრულიად სწორად გადაწყვიტა გაეგო, შავები მოგებაზე ითამაშებდნენ თუ ყაიმზე. არა, თბილისელს ყაიმი არ შეუთავაზებია, უბრალოდ გაიმეორა სვლა, ახმილოვსკაიას, თავის მხრივ სვლები არ გაუმეორებია, რაც ეტყობა, იმას ნიშნავდა, რომ თავის პოზიციას სავსებით პერსპექტიულად და საიმედოდ თვლიდა. მაშინ გურიელმა, თავის ძირითად ძალებს მეფის ფრთაზე მოუყარა თავი, ახმილოვსკაია კი ცდილობდა აქტიურად ეთამაშა ბრძოლის საწინააღმდეგო უბანზე, ამ პოზიციაში მას პრინციპული შეცდომა მოუვიდა: დასძრა წინ კიდურა პაიკი. როცა საქმე შეწირვებამდე მიდის გურიელი მეტად გულუხვია. მან შავებს ერთი კი არა, ორი მხედარი შესთავაზა. ეს ნამდვილად „დანაელთა საჩუქარი" იყო. მისი მიღების შემთხვევაში ახმილოვსკაიას პოზიცია ხუხულა ქოხივით ინგრეოდა. აქ საყურადღებო ის იყო, რომ არც „ძღვენის" მიუღებლობა იძლეოდა რამეს და ახმილოვსკაიამ თავი დამარცხებულად ცნო. გურიელის შემოქმედებითი მიღწევა უდავოა. იგი ჩვეული ძალით იწყებს თამაშს.

ამ ცენტრალურმა პარტიამ სხვები უდავოდ დაჩრდილა, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს ფიშდიკის კარგი თამაში, რომელმაც ამ დღეს სძლია მურეშანს. ეს რუმინელი მოჭადრაკის პირველი დამარცხებაა. ორივე ლიდერის — მურეშანისა და ახმილოვსკაიას დამუხრუჭებამ ხელი შეუწყო ლევიტინას. გრიუნფელდის დაცვაში კადილკარმა შავებით ვერ შეძლო მდგომარეობის გათანაბრება. ლენინგრადელ მოჭადრაკეს, რომელსაც მაღალი ტექნიკა აქვს, ბრძოლის გაუმწვავებლად მიჰყავდა თამაში. მან მატერიალურ უპირატესობას მიაღწია და გაიმარჯვა. ამრიგად, ლევიტინამ 5 თამაშიდან 4 ქულა მოაგროვა და დაიბრუნა ლიდერობა. სევერაიდი და გარსია ყაიმზე შეთანხმდნენ. ორი პარტია გადაიდო, ხოლო პიხაილიჩ-ვერეცი-პეტრონიჩის შეხვედრა არ გამართულა უნგრელი დიდოსტატის ავადმყოფობის გამო.

გ. გამრეკელი.

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრებისას გურიელი დამარცხდა ტიტორენკოსთან. ნ. ორი ქულა — ფიშდიკსა და გუგენბერგერთან მოიპოვა ნიკოლინმა. სევერაიდი და ტიტორენკო ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

ამრიგად 6 ტურის შემდეგ 5 თამაშიდან 4 ქულით წინ არის ლევიტინა. 5 თამაშიდან 3,5 ქულა აქვს მურეშანს, 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია (უარეს პოზიციაში) — ტიტორენკოს, 3,5 ქულა — ახმილოვსკაიასა და ნიკოლინს, 5 თამაშიდან 3 ქულა — გურიელს.

დარჩა ერთი ტური

ერთი ტურიც და, მოსკოვში დამთავრდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო შეჯიბრება. მეთერთმეტე ტურში კასპაროვმა დაამარცხა ვან დერ ვილი, საქსმა — კინტეროსი. დაზავდნენ გარსია-ტალი, ანდერსონ-ქრისტიანსენი და გეორგიუ-გელერი. მეთორმეტე ტურში კასპაროვმა მოუგო გეორგიუს, ქრისტიანსენმა — როდრიგესს. ყაიმზე შეთანხმდნენ გარსია-ანდერსონი და ტალი-კინტეროსი. იმის გამო, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობით დაგროვდა გადადებული პარტიები, 22 სექტემბერს დილით მათი ნაწილის დამთავრება მოეწყო. გარსიამ უთამაშებლად დათმო პარტია ბელიავსკისთან. ველიმიროვიჩ-საქსი და ვან დერ ვილი-მურეი დაზავდნენ. ბოლო, მეცამეტე ტურის წინ კასპაროვს 8 ქულა ჰქონდა (1 გადადებული), გარსიას და ტალს — 7,5-7,5, ანდერსონს — 7 (1), ბელიავსკის — 6,5, (3), გელერს — 6,5 (1), ქრისტიანსენს — 5,5, საქსს — 5 (1), ველიმიროვიჩს — 4,5 (3), გეორგიუს—4,5 (1), მურეის — 3,5 (3), ვან დერ ვილს — 3,5 (1), როდრიგესს — 3 (2), კინტეროსს — 2,5 (1). გუშინ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება, დღეს — ბოლო ტურია, ხვალ — კვლავ გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა და ამით დასრულდება მოჭადრაკე ვაჟთა საზონათაშორისო ტურნირი.

სპორტული ორბიტა

ძალოსნობა. იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი. გამარჯვებულთა ვინაობა უკვე გამოირკვა ხუთ წონით კატეგორიაში. ესენია: ს. ლელეტკო (პოლონეთი, 52 კგ-მდე წონითი კატეგორია), ა. კოჯაბაშევი (ბულგარეთი, 56 კგ), ი. სარქისიანი (სსრ კავშირი 60 კგ), პ. მანდრა (პოლონეთი, 67,5 კგ) და ი. რუსევი (ბულგარეთი, 75 კგ).

ფრენბურთი. პერუში მიმდინარე ქალთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატზე სუსტად ასპარეზობს სსრ კავშირის ნაკრები. მან ნახევარფინალურ ჯგუფში მეოთხე ადგილი მოიპოვა და ახლა იგი მხოლოდ V-VIII ადგილებისთვის მებრძოლთა რიგებშია.

ფეხბურთი. ჰელსინკში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შერჩევითი მატჩი (მეორე ჯგუფი) ფინეთისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს პორტუგალიელებმა — 2:0. შეგახსენებთ, რომ იმავე ჯგუფში ასპარეზობენ პოლონელი და საბჭოთა ფეხბურთელები.

ჭადრაკი. ჰამბურგში (გფრ) დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც უძლიერესის წოდება მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა. მან გადამწყვეტი მატჩი მოუგო მსოფლიოს ექსჩემპიონს ბორის სპასკის. თავდაპირველად ამ მოჭადრაკეებმა ერთმანეთთან შეხვედრისას თითო ქულა მოიმკეს. დამატებით ორ 15-წუთიან ბლიც-პარტიაში იმარჯვა კარპოვმა: ერთი მოიგო და ერთიც ყაიმით დაამთავრა.

მხატვრული ტანვარჯიში. ლენინგრადში გათამაშდა სსრ კავშირის თასი მრავალჭიდში, აგრეთვე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატი ცალკეული საგნებით ვარჯიშში. თასს დაეუფლა მოსკოვის ოლქის ქალაქ ჟუკოვსკის მკვიდრი ირინე დევინა. მანვე სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა რგოლით და გურზით ვარჯიშში. სახტუნელათი ვარჯიშში უძლიერესი იყო ტაშკენტელი ვენერა ზარიპოვა, ლენტით — ვილნიუსელი დალია კუტკაიტე.

რეგბი. კარგა ხნის შესვენების შემდეგ განახლდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც 8 უძლიერესი კოლექტივი მონაწილეობს. გთავაზობთ შედეგებს: მოსკოვის „სლავა"-მოსკოვის „ფილი" — 19:3, მოსკოვის „ლოკომოტივი"-ლენინგრადის „პრიმორეცი" — 8:12, ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატი-კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი" — 6:7. გაიმართა აგრეთვე ადრე გამოტოვებული მატჩი ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო ავიაციის გუნდისა და ქუთაისელ რეგბისტებს შორის, შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. გათამაშებას ლიდერობს „სლავა" — 52 ქულა. ქუთაისელები 33 ქულით მეხუთე ადგილზე არიან.

მატჩები, შედეგები, ცხრილი

გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები. ტაშკენტში „ფახთაქორმა" დაამარცხა მოსკოვის „დინამო" — 3:0, ალმა-ათაში „სპარტაკმა" მოუგო ადგილობრივ „ყაირათს" — 4:0, მოსკოვის „ტორპედომ" კი მიიღო „შახტიორი" და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 5:1. დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასე არიან განლაგებული:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." (მ)	24	14	6	4	41-24	34
„სპარტაკი"	26	13	7	6	44-28	33
„დინ." (თბ)	25	13	6	6	43-34	32
„არარატი"	26	11	8	7	35-34	30
„დინამო" (კ)	23	10	8	5	35-17	28
„ფახთაქ."	26	10	8	8	34-31	28
„მეტალის."	26	10	8	8	28-24	28
„დნეპრი"	26	9	9	8	30-32	27
„ჩერნომ."	25	8	10	7	22-21	26
„დინამო" (მ)	27	10	5	12	33-37	25
„ზენიტი"	25	8	8	9	33-32	24
„ტორპ." (მ)	25	9	5	11	28-28	23
„ყუბანი"	25	7	7	11	28-35	21
„ნეფთჩი"	25	8	4	13	32-47	20
ცსკა	25	7	6	12	29-37	20
„ტორპ." (ქ)	25	6	7	12	31-39	19
„შახტიორი"	26	6	7	13	31-47	19
„ყაირათი"	26	5	9	12	26-41	19

მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართება 25 სექტემბერს.

ოქტომბრიდან „ზამთრის" დროზე

სსრ კავშირის ერთიანი დროისა და ეტალონურ სიხშირეთა სახელმწიფო კომისია იუწყება, რომ „საზაფხულო" დროის მოქმედების ვადის დამთავრებასთან დაკავშირებით, 1982 წლის 1 ოქტომბრის 0 საათიდან საათის ისარი ერთი საათით უკან გადაიწევა.

„საზაფხულო" დროის გაუქმება და საათის ისრის 1 საათით უკან გადაწევა სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ხორციელდება.

რედაქტორის მოადგილე **გ. ნაჭყებია.**

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა



ორშაბათი, 27 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩერნოვცი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — დოკუმენტური ფილმი „იქ, მაგადანის მიწაზე". 11.30 — მხატვრული ფილმი „პირველი ხელმოწერის უფლება". 13.00— სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მდინარე და ცა". 17.00 — მოსწავლეთათვის რუსული ენა, 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.55 — „ათი ათასად ზრდილობა"... (განმეორებით). 18.45 — „საერთაშორისო დღიური". 19.15 — „უკრავს იური ცხომელიძე". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „ვერნისაჟი". 20.55 — კინონარკვევი. 21.05 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — „რუსთაველის თეატრი შორეულ აღმოსავლეთში". 21.55 — „ჩაი-82". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „თბილისის საზონათაშორისო". 22.45 — „ქართული კინოს ისტორიიდან" — მხატვრული ფილმი „შირველული მეზობლები". 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 17.35 — დოკუმენტური ფილმი „მენდელეევის გახსენება". 18.35 — განცხადებები. 18.40 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ორიანი".

სამშაბათი, 28 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კეთილ საქმეთა ნაპირი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სსრ კავშირის შექმნის 60 „წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ჩრდილოური ეტიუდები" და „კუნძული ოკეანეში". 11.25 — „უკრავს იური ცხომელიძე". 11.55 — ქართული მხატვრული ფილმი „შირველული მეზობლები". 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა. 13.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანი უპირველეს ყოვლისა". 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.30 — „ჩვენი სტუმრები" — „უკრავს მ. ჩაიკოვსკაია". 18.00 — „ხომლი" — სატელევიზიო ლიტერატურული ჟურნალი. 19.05 — სახალხო დღესასწაული „გრემობა". 19.30 — „მოამბე". 20.00 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — „ერთიან ოჯახში". სომხეთის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „თბილისის საზონათაშორისო". 22.45 — „ათი ინტერვიუ". 23.15 — „ილუზიონის" პროგრამიდან — მხატვრული ფილმი.

მეორე პროგრამა. 17.05 — მოსწავლეთათვის — რადიოტექნიკა. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგვითხრობს კავერინი". 18.10 — მასწავლებლის საათი — ალგებრა. 18.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.15 — განცხადებები. 19.20 — მხატვრული ფილმი „მამა სერგი".

ოთხშაბათი, 29 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მამისეული სახლის ზღურბლი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამი ესკიზი". 11.00 — სახალხო დღესასწაული „გრემობა". 11.25 — მხატვრული ფილმი „მამა სერგი". 13.00 — მათემატიკისა ტელეკურსი. 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წელიწადის დრონი". 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.30 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯვების ყვავილები". 17.50 — განცხადებები. 17.55 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი". 18.40 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი" — „თუშური ჩანახატები". 19.00 — კონცერტი. 19.30 — „მოამბე" 20.00 — ფეხბურთი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. 1/16 ფინალი. კიევის „დინამო" — შვეიცარიის „გრასჰოპერსი" — რეპორტაჟი კიევიდან. შესვენების დროს — 1 ოქტომბერი — გადასვლა ზამთრის დროზე. 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „ფეხბურთი „უეფას" თასზე. 1/32 ფინალი. მოსკოვის „დინამო" — პოლონეთის „შლიონსკი" (მ.). 23.45 — ახალი ამბები. 24.00 — სპორტული პროგრამა: 1) ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე. 1/16 ფინალი. გფრ-ის „ბავარია" — მოსკოვის „ტორპედო" — რეპორტაჟი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან. 2) ფეხბურთი „უეფას" თასზე. 1/32 ფინალი. იტალიის „ნაპოლი" — თბილისის „დინამო", რეპორტაჟი იტალიიდან.

მეორე პროგრამა. 17.05 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია. 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.30 — განცხადებები. 18.35 — დოკუმენტური ფილმი: „დედა ენა ხვალისათვის". 19.40 — მხატვრული ფილმი „უნდა მოკვდეს ეს სიყვარული".

ხუთშაბათი, 30 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოსტატთა ქალაქი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყაისინ ყულიევი". 11.05 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი". 11.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბალადა თეთრ ფაფარზე". 13.00 — ბიოლოგიის ტელეკურსი, 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეკატერინეს სასახლე". 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.30 — „იავნანას" წერილების კვალდაკვალ". 18.10 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი". „პორტრეტი" — ვახტანგ გაბუნია. 18.45 — გადაცემა „რით მივდივართ კრებაზე". 19.15 — დოკუმენტური ფილმი. 19.40— „მოამბე". 20.10 — სპორტული პროგრამა. 21.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 21.55 — „ჩაი-82". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — თბილისის საზონათაშორისო. 22.45 — ქართული მხატვრული ფილმი „მაცი ხვიტია".

მეორე პროგრამა. 17.05 — მასწავლებლის საათი — ფიზიკა. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტარხანი". 18.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა. 18.45 — კინონარკვევი. 19.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მარკ ტვენი წინააღმდეგია".

პარასკევი, 1 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფურებსაც შემოდგომაზე ითვლიან". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „მოძრაობა" და „მონოლოგი სიყვარულზე". 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „მაცი ხვიტია". 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი — (სტუდიაშია დოცენტი რ. ენუქაშვილი). 16.55 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა": მხატვრული ფილმი „და შენ იხილავ ზეცას". 18.05 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება". 18.50 — ახალგაზრდობისათვის — „ახალგაზრდა კომპოზიტორთა კამერული მუსიკის ფესტივალის დღიური". 19.15 — „გმირობა" (სტალინგრადთან ბრძოლის 40 წლისთავისათვის) (მ.). 19.30 „მოამბე". 20.00 — სპორტული პროგრამა. 21.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „კორნელი სანაძე. 21.55 — „საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „თბილისის საზონათაშორისო". 22.45 — მხატვრული ფილმი „შევეწყობით ერთმანეთს ძვირფასო". 00.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.00 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 17.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ელერს ქვის პარმონია". 17.50 — მასწავლებლის საათი — ქიმია. 18.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტყის პატრონი". 19.10—განცხადებები. 19.15 — მხატვრული ფილმი „ტრაქტორისტები".

შაბათი, 2 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უსასრულო გზა". 10.00 — „მოამბე". 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — „რიტმი, რიტმი, რიტმი"... დილის გასართობი პროგრამა. 11.35 — მხატვრული ფილმი „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე". 13.00 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამხრეთ საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი. 13.45 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — „ბალეტის მოყვარულთათვის". 14.15 — [illegible] 14.50 — „ხუთწლედის [illegible]". 15.35 — [illegible]. 15.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 16.00 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა. 16.40 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — შეხვედრა მწერალ ჭ. ამირეჯიბთან მოსკოვის ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში (განმეორებით). 18.05 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი. 18.40 — ხალხური შემოქმედება — სიმღერის შესწავლა. 19.10 — კინონარკვევი. 19.25 — „პოეზიის ხუთი წუთი". 19.30 — „მოამბე". 20.00 — სპორტული პროგრამა. 21.30 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „თბილისის საზონათაშორისო". 22.45 — სატელევიზიო სპექტაკლი „უჩინმაჩინის ქუდი" (საქართველოს ტელევიზიის დადგმა).

კვირა, 3 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „დავით გურამიშვილი!" 10.00 — „მოამბე". 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — „ჩვენი ანონსი". 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — „ცეროდენას ეკრანი". 13.05 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.35 — „მასწავლებელთა ყრილობის შესახვედრად". „ამაგდარი" — ც. გუშჩიანი. 13.50 — „გილოცავთ!" (ეძღვნება მასწავლებლის დღეს). 14.30 — „ბუნების კარი". 15.15 — კინონარკვევი. 15.30 — „ძველი ქართული კულტურის კერები". 16;00 — „ვესტნიკი". 16.30 — „ილუზიონი". 18.30 — „მოამბე". 19.00 — „ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო" — ალმა-ათის „ყაირათი". რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს — კინონარკვევი. 20.45 — „ზღაპრის გუდა". 21.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე კიევის „დინამო" — ქუთაისის „ტორპედო" მეორე ტაიმი (რეპორტაჟი კიევიდან). 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.). 23.05 — კონცერტი — უკრავს ლექსო თორაძე".

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



ორშაბათი, 27 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — გაზეთ „პრავდის მიმოხილვა (მ.). 8.15 — „პიკის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 11.10 — „საბჭოური ცხოვრების წესის პროპაგანდა". საუბარი. 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — გ. ტაბიძის ლექსები. 12.30 — ი. შტრაუსი. ვალსი „ცისფერ დუნაიზე". 12.45 — ჯ. დათუაშვილის კონცერტი. 13.30 — გ. ცაბაძე. კინოფილმების მუსიკა. 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". ო. იოსელიანის მოთხრობები. 15.00 „მეგობართა ხმები". გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მ.). 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ზღაპარი დაკარგულ დროზე". 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „ყრილობაზე ითქვა, რა კეთდება". კორესპონდენტის ნაამბობი „მარაბდა-ახალქალაქის გზის მშენებლებთან". 19.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — „ადამიანი და კანონი". რადიოჟურნალი (მ.). 20.30 — ზ. ფალიაშვილი. ოპერა „დაისი". 23.30 — უკრავს ე. ვირსალაძე. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

სამშაბათი, 28 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — „გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — მღერის ჩიქოვანების ოჯახი. 11.10 „საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფო განვითარებული სოციალიზმის დროს". საუბარი. 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — ა. ადანი. ბალეტ „ჟიზელის" ნაწყვეტები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — მ. ქვლივიძის ლექსები. 12.30 — ი. გურგულია. სიმღერები. 12.40 — „ყველა მერიდიანზე — ფაქტები, მოვლენები, კომენტარი". 13.30 — „შეგვეხმიანეთ". ლიტერატურულ-მუსიკალური რადიოკომპოზიცია. 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". ო. იოსელიანის მოთხრობები. 14.20 — „სსრკ—60". ე. კაპი, „ტალინის სურათები" და ხუთი ესტონური ცეკვა. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!". 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 „ჯანმრთელობა". რადიოჟურნალი. 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — „სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები" (მ.).20.30 — მიკროფონთანაა ანსამბლი „ივერია". 21.00 „ძილისპირული". 21.15 — რადიოსადგური „სიჭაბუკე". 22.00 რ. ლაღიძე. სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის" და სიმღერები. 23.30 — მღერიან თეატრისა და კინოს მსახიობები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ოთხშაბათი, 29 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.25 ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ქალაქური ჰანგები. 11.15 — „პარტიული ცხოვრება". „ანგარიშგება-არჩევნები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.10 — „ნაშუადღევს". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.30— ქართული ხალხური სიმღერები. 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". ო. იოსელიანის მოთხრობები. 14.20 — „სსრკ—60". მღერის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. კოზლოვსკი. 17.00 — თბილისის ახალი ამბები. 17.15 — შ. მილორავა. ნაწყვეტები ოპერეტებიდან. 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა". 18.00 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „იშვიათი ეპიზოდები ა. ალიოხინის ცხოვრებიდან". 19.15 — გ. ყანჩელი. მუსიკა კინოფილმებიდან. 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (მ.), 20.30 — „თბილისი—ბაქო—ერევანი"". რადიოჟურნალი (ბაქოდან). 21.00 — „ძილისპირული". 21.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 21.30 — უკრავს საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ხალხურ საკრავთა ორკესტრი. 22.00 — ნ. დუმბაძე, „ნუ გააღვიძებ". რადიოდადგმა. 23.30 — ი. ბახი. სავიოლინო კონცერტი. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ხუთშაბათი, 30 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები და რომანსები. 11.15 — „ჩვენი იმედი და მომავალი". რადიონარკვევი „იხარე და იბედნიერე დედავ". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე" გუნდი და ცეკვები. 12.25 — „სცენის ოსტატები". სპექტაკლ „ახალგაზრდა მასწავლებლის" სცენა ს. ყანჩელისა და გ. გეგეჭკორის მონაწილეობით. 12.35— მღერის ქალთა ტრიო „სამაია". 12.50 — ბ. კვერნაძე. ცეკვა — ფანტაზია. 13.30 — მ. ქასრაშვილისა და ა. ხომერიკის კონცერტი. 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". ო. იოსელიანის მოთხრობები. 14.20 — „სსრკ—60". დ. კაბალევსკი. კამერული ნაწარმოებები. 15.00 — პ. მერიმე, „კარმენი". ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია (მ.). 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.35 — მოსწავლეთათვის. რადიოსადგური „ყმაწვილის თანამგზავრი". 18.00— აფხაზეთის ასსრ ახალი ამბები. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. 19.20 — დ. თორაძე. ნაწყვეტები ბალეტიდან „გორდა". 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — ქართული ხალხური მუსიკა. 20.30 — „მთვარიანი ღამის ჩრდილში". ნ. ლორთქიფანიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. 21.00 — „ძილისპირული". 21.15 „ჩანგი". რადიოჟურნალი. 22.15 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო"—კიევის ასკ. 23.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

პარასკევი, 1 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ნ. გაბუნია. ვოკალურ-ინსტრუმენტული პიესა „იგავი". 11.10 — მ. ჩხეტიანის ლექსები. 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 12.35 — მუსიკალური პროგრამა „შეხვედრები მიკროფონთან". 13.30 — ვ. აზარაშვილი. სიმღერები. 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე. 14.00 — მღერის სოფელ მაკვანეთის გუნდი. 14.34 — პოპულარული საბალეტო მუსიკა. 15.00 — „მეგობართა ხმები". გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მ.) 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება". უკრავს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კამერული ორკესტრი. 17.40 — მოსწავლეთათვის. რადიოკომპოზიცია „კვალი ნათელი". 18.00 — „პიკის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 19.00— „კომუნისტები". რადიონარკვევი „პირადი მაგალითი". 19.15 — მ. მუსორგსკი. საორკესტრო ფანტაზია. 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — მღერის ანსამბლი „გორდელა". 21.00 — „ძილისპირული". 21.15 — „საერთაშორისო მდგომარეობა: კითხვები და პასუხები", (მ.). 22.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო"—მოსკოვის „დინამო". 22.15 — „სსრკ—60". სცენა სპექტაკლიდან „ჩვენი თანამედროვე". 23.30 — ა. დვორჟაკი. რომანსი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის და უვერტიურა „კარნავალი". 23.35 — უკანასკნელი ცნობები.

შაბათი, 2 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ა. ბალანჩივაძე. საბალეტო მუსიკა. 11.10 — უკრავს საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო-სიმფონიური ორკესტრი. 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია. 12.00 — „ჩვენი კრიტიკული გადაცემების კვალდაკვალ". 12.15 — „ჩვენი ლაშქარი". მუსიკალური ნარკვევი „პაატა ბურჭულაძე". 13.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 14.00 — ბ. ტარტაკოვსკი. „ამბავი მასწავლებელ სუხომლინსკისა". რადიოდადგმა. პირველი ნაწილი. 15.34 — კონცერტი. ა. ვივალდის ნაწარმოებები. 16.15— რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.50 — კამერულ-ინსტრუმენტული პიესები. 17.15 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „მღერის პიონერია". 18.00 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „სატირის მახვილით". 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — ეკრანის მელოდიები. 20.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები" — თ. წერეთლის კონცერტი. 21.00 — „ძილისპირული". 21.10 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო"— მოსკოვის „ალმასი". 21.30 — ახალგაზრდობისათვის. „ოჯახი და სიყვარული". 22.00 — „საღამო მშვიდობისა!". მუსიკალური პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 23.30 — ქალაქური ჰანგები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

კვირა, 3 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 7.30 — „საერთაშორისო დღიური" (მ.). 8.20 — „მიწა და ადამიანები" (მ.). 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.23 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 11.35 — მუსიკალური რადიოაფიშა". 12.00 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე" (მ.). 12.15 — „ჩემი ბავშვობის მასწავლებელი" — ქართველი პოეტების ლექსები. 12.30 — „მუსიკალური მოზაიკა". 13.30 — ახალგაზრდობისათვის. „მუსიკის საათი". 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი. 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" (ერევნიდან). 15.30 — „სოციალიზმის ქვეყნებში". 15.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 16.00 — ბ. ტარტაკოვსკი, "ამბავი მასწავლებელ სუხომლინსკისა". რადიოდადგმა. მეორე ნაწილი. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „შუქი სიკეთისა". 18.00 — კონცერტი მასწავლებელთათვის. 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე": თბილისის „დინამო"—ალმა-ათის „ქაირათი". 20.45 — მსუბუქი მუსიკა. 21.00 ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: კიევის „დინამო"—ქუთაისის „ტორპედო" მეორე ტაიმი. 21.45 — „საერთაშორისო მიმომხილველები" მრგვალ მაგიდასთან"(მ.). 22.15 — კინოფილმების მუსიკა. 23.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 23. 55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

24 სექტემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — მულტფილმები. 10.15 — მხატვრული ფილმი „გატეხილი ყამირი", მეორე სერია. 11.50 — და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმი „დედამიწა და ადამიანი". 16.20 — რ. შუმანი — „კრეისლერიანა". ასრულებს რ. კერერი. 16.55 — ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს. 17.05— რუსული ენა. 17.35 — მოსკოვი და მოსკოველები. 18.05 — სალტან მეფის ზღაპარი". 19.45— დღეს მსოფლიოში. 20.00 — მღერიან რუზანა და კარინე ლისიციანები. 20.20 — მხატვრული ფილმი „გატეხილი ყამირი". მესამე სერია. 22.00 — „ვრემია". 22.45 — ჰოკეი. რიგის „დინამო"—„სპარტაკი". მესამე პერიოდი. 23.20 — დღეს მსოფლიოში. 23.35 — ვალს-კონცერტი. 00.20 — ძალოსანთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — ისტორია. მეოთხე კლასი. 10.05 და 14.05 — ინგლისური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ზოგადი ბიოლოგია. 11.35 და 12.35 — ისტორია. მეშვიდე კლასი. 12.05 — დ. შოსტაკოვიჩი. 13.05 — ეკრანი —მასწავლებელს. გეოგრაფია. მეექვსე კლასი. 13.35 — მეელბერძნული ხელოვნება. 14.35 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. „მატერიალიზმი და ემპირიოკრატიზმი". მე-2 გადაცემა. 15.05 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო". პირველი ფილმი — „1941 წლის 22 ივნისი". 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — კინომოგზაურობის კლუბი. 20.15 — ჰოკეი. „სოკოლი" — ცსკა მე-2 და მე-3 პერიოდები. შესვენებისას — 20.50— „ძილი ნებისა, პატარებო"!. 22.00 — „ვრემია". 22.45 — მხატვრული ფილმი „რბოლა გამოდევნებით".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.45—„სსრკ—60" დოკუმენტური ფილმი. 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრკ — 60" დოკუმენტური ფილმი. 11.10 — „სასურსათო პროგრამა საერთო-სახალხო საქმეა": გადაცემა „მეცნიერება — სასურსათო პროგრამის სამსახურში". 11.40 — მხატვრული ფილმი „ნახტომი სახურავიდან". 13.00 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 17.00 — „სსრკ—60" დოკუმენტური ფილმი. 17.30 განცხადებები. 17.35 — „17 ძირითადი". 18.20—კონცერტი. 18.55 — ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი — პროპაგანდისტთა დასახმარებლად. 19.45 — დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „სსრკ—60". მხატვრული ფილმი „სიხარულის ყურე". პირველი სერია. 21.50 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.45 — „სსრკ—60". მხატვრული ფილმი „სიხარულის ყურე". მეორე სერია. დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — მოსწავლეთათვის—ფიზიკა. 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 18.05 — „სსრკ—60". დოკუმენტური ფილმი. 18.30 — განცხადებები. 18.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩარი-რამა".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 08465 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20